# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


პარასკევი, 7 მარტი, 2014 წელი.

№46 (7427)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.



## გაზეთში ნებისმიერი განცხადების გამოქვეყნება თუ გინდათ, ჩვენთან მობრძანდით!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ შეუზღუდავად და ყოველდღიურად აქვეყნებს ნებისმიერი ხასიათის სარეკლამო განცხადებებს (ტენდერები, აუქციონები, კრებები, ყიდვა-გაყიდვა და სხვ.), რომელთა პუბლიკაციის ექსკლუზიური უფლება წინა ხელისუფლების უკანონო გადაწყვეტილებით აქამდე მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ გაზეთ „24 საათს“, რომელსაც აღნიშნული პრივილეგია ჩამოერთვა.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გ. ახვლედიანის ქ. №19; ელფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge.

ტელეფონები: 299 62 77; 5 99 79 76 79.


## „საქართველოს ხელისუფლებამ ზბიგნევ ბჟეზინსკის მაინც დაუჯეროს!“ ③

## სოციალური რევოლუცია და დაკვეთილი კონტრაბიტაცია ④




## „გაორებული“ პარლამენტი თუ ნაყოფიერი მუშაობა? ⑥

## ომის შემთხვევაში პუტინი იმასაც დაკარგავს, რაც ახლა აქვს ⑨

## როგორია „როსნეფტის“ სამომავლო გეგმები საქართველოში? ⑤



## ჟიული შარტავას ზნეობრივი გმირობა ⑤




## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ალიან-ჩალიანი

## სახელმწიფო ბიუჯეტში მილიარდ 188,8 მილიონი ლარია მობილიზებული

**სახელმწიფო** ბიუჯეტში მილიარდ 188,8 მილიონი ლარია მობილიზებული, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 233 მილიონი ლარით მეტია, — ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, სადაც მინისტრებს ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა.

მისივე განმარტებით, პირველ ორ თვეში მობილიზებული თანხები პირველი კვარტლის გეგმის 56,6, ხოლო წლიური გეგმის 13,1 პროცენტია.

— ეს აბსოლუტურად ჯდება წლის განმავლობაში ეკონომიკური აქტივობის გადანაწილების პარამეტრებში. 2013 წელთან შედარებით დაახლოებით 110 მილიონი ლარით მეტია მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების სახით. პირველ ორ თვეში საგადასახადო შემოსავლების ფაქტობრივმა მაჩვენებელმა 954 მილიონი ლარი შეადგინა. ეს არის წლიური გეგმის 14 პროცენტი. ეს შარშანდელთან შედარებით 100 მილიონით არის გადაჭარბებული და 40 მილიონი ლარით მეტია, ვიდრე წლევანდელი გეგმა პირველი ორი თვისთვის, — განაცხადა ხადურმა.

ამასთან, ფინანსთა მინისტრის განმარტებით, 65 მილიონით მეტია შემოსავლები იანვარში, შარშანდელ იანვართან შედარებით, თებერვალში — 35 მილიონით.

## საქართველოს მთავრობის კანცელარია მთავრობის ადმინისტრაციად გარდაიქმნა

**საქართველოს** მთავრობის კანცელარია მთავრობის ადმინისტრაციად გარდაიქმნა. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია კანცელარიის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით უცხოელ პარტნიორებთან, გაერო-სა და USAID-თან ორი თვის განმავლობაში მუშაობდა. ევროპელ კოლეგებთან თანამშრომლობით შემუშავებულია ევროპული ქვეყნების ტიპის დებულება. გარდა ამისა, შექმნილია სამუშაო აღწერილობები კადრების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და უახლოესი ორი კვირის განმავლობაში სხვადასხვა პოზიციის დასაკავებლად მთავრობის ადმინისტრაციაში ღია კონკურსები გამოცხადდება. კონკურსის შესახებ ინფორმაცია საქართველოს მთავრობისა და საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზეც განთავსდება.

## პრეზიდენტის სტიპენდიას სახელმწიფო სტიპენდია დაერქმევა

**სტუდენტებისთვის** პრეზიდენტის სტიპენდიას სახელმწიფო სტიპენდია დაერქმევა. ამასთან დაკავშირებით განათლების სამინისტრომ განმარტება გააკეთა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, 2008 წლიდან სტიპენდია არა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, არამედ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტიდან გაიცემოდა.

## თბილისის საკრებულომ ბიუჯეტის პროექტის საკუთარი ვერსია შეიმუშავა

**თბილისის** საკრებულომ ბიუჯეტის პროექტის საკუთარი ვერსია შეიმუშავა, რომელიც დედაქალაქის მერიას რეგულაციებს უწესებს. ამის შესახებ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

— მე მინდა, მივმართო თბილისელებს და შევახსენო, რომ ქალაქ თბილისის მერიამ საკრებულოში შემოიტანა ოთხი ბიუჯეტი და ოთხივე უვარგისი, რის გამოც ის ჩავარდა. ქალაქ თბილისის საკრებულო ყოველთვის იჩენდა პრინციპულობას და იყო შეუვალი იმ საკითხში, რომ ქალაქს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ისეთი ბიუჯეტი, რომელიც არ იქნებოდა თბილისელების ინტერესზე ორიენტირებული. ჩვენ არ დავუშვით და არ მივიღეთ ისეთი ბიუჯეტი, რომელიც დასახარჯად სჭირდებოდა ბრალდებულ ყოფილ მერს. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ბიუჯეტი ყოფილიყო გამჭვირვალე, ბუნდოვანებისგან თავისუფალი. ყოველთვის საკრებულო იდგა მყარ პოზიციაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მის მიმართ ხორციელდებოდა არაერთგზის საბოტაჟური ქმედება, შავი პიარ-კამპანია, რომ ჩვენ მიგვეღო ისეთი ბიუჯეტი, როგორიც აწყობდა თბილისის ყოფილ და ბრალდებულ მერს დასახარჯად, — განაცხადა შიხიაშვილმა.

მისივე თქმით, ბიუჯეტის ახალი პროექტი, რომელიც თბილისის საკრებულომ შეიმუშავა, შეზღუდავს მერიას, რათა წინასაარჩევნოდ „ხელი არ აფათუროს თბილისელების ბიუჯეტში“.

ამასთან, შიხიაშვილის თქმით, საკრებულოს მიერ შეთავაზებული წინადადებით, პირველ რიგში, მერის მოვალეობის შემსრულებელი უნდა იყოს კმაყოფილი, ვინაიდან ეს მას დაიცავს კანონდარღვევისა და იმისგან, რომ მომავალში თვითონაც ბრალდებული არ აღმოჩნდეს.

საკრებულოს მორიგი სხდომა დღეისთვის არის ჩანიშნული, თუმცა, როგორც შიხიაშვილმა აღნიშნა, საკრებულოს შეუძლია სხდომა 11 მარტისთვის გადაწიოს.

## ცენტრი „ერთობა“ თბილისის საკრებულოს მიერ შემუშავებული ბიუჯეტის გასაჯაროებას ითხოვს

**კოოპერატიული** ბინათმშენებლობით დაზარალებულთა ცენტრი „ერთობა“ თბილისის საკრებულოს მიმართავს და თბილისის ბიუჯეტის პროექტის მის მიერ შემუშავებული ვარიანტის გასაჯაროებას მოითხოვს.

„როგორც ცნობილია, თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის, რიგით მეოთხე პროექტი განსახილველად შემოვიდა საკრებულოში და დათარიღებულია 28 თებერვლით.

გუშინ საკრებულოს თავმჯდომარემ გაავრცელა საგანგებო მიმართვა და განაცხადა, რომ საკრებულოს შემუშავებული აქვს ბიუჯეტის პროექტის თავისი ვარიანტი. დედაქალაქის მოსახლეობა უკვე სამი თვეა თვალყურს ადევნებს ამ „საბიუჯეტო ომს“, ამიტომ, მოგიწოდებთ: საჯარო გახადოთ, გამოაქვეყნოთ საკრებულოს მიერ შემუშავებული ქალაქის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი“, — ნათქვამია „ერთობის“ განცხადებაში.

ამასთან, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა ცენტრის განმარტებით, დიდი ინტერესია, აისახება თუ არა დასამთავრებელი კოოპერატიული კორპუსების თემა 2014 წლის ბიჯეტის პროექტში.

„ერთობის“ მიმართვის ადრესატები არიან თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი, თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი მუსხელიშვილი და თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშია.

დოკუმენტი

# უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია გია ვოლსკიმ დაბლოკა?

**ცხრასაათიანი კონსულტაციები უშედეგოდ დასრულდა — უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტმა რეზოლუცია ვერ მიიღო. უმცირესობა და უმრავლესობა რეზოლუციის ტექსტზე ვერ შეთანხმდა.**

პოლიტიკურ მხარეებს შორის დავის საგანი რეზოლუციის ორი პუნქტი გახდა, რომელთა გათვალისწინებას „ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვდა. კერძოდ, უმცირესობა რუსეთის მიმართ სანქციების დაწესებას და ყირიმის ჭრილში საქართველოს დეოკუპაციას ითხოვდა.

ოპოზიციონერი დეპუტატის გოკა გაბაშვილის განმარტებით, რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ რუსეთის თავხედური აგრესია დაგმობილი უნდა იქნეს და მის მიმართ ქმედითი სანქციები უნდა დაწესდეს.



„ამას გარდა, დოკუმენტით საქართველოს მთავრობას მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობასთან აქტიური მუშაობა წარმართოს, რათა განსაზღვრული საერთაშორისო სანქციები შენარჩუნდეს მანამ, სანამ უკრაინის სრულ დეოკუპაციასთან ერთად რუსეთი საქართველოს მთელი ტერიტორიიდან სრულად არ გაიყვანს თავის სამხედრო კონტინგენტს და არ აღმოფხვრის ეთნიკური წმენდის შედეგებს. პრობლემური სიტყვა — „სანქცია“ და დეოკუპაციის საკითხი სამსჯელო გახდა. მაშინ როდესაც, ამერიკის პრეზიდენტი და ევროკავშირი საუბრობენ, რომ, თუ პუტინი არ შეჩერდება მის წინააღმდეგ შემოღებული იქნება სანქციები, საქართველოს პარლამენტისთვის რატომ არის „სანქცია“ აკრძალული?“, — აცხადებს გაბაშვილი.

კანონმდებლის ინფორმაციით, მმართველ გუნდში აზრი ორად იყოფა — პუტინის მიმართ სანქციები უნდა იქნეს თუ არა შემოღებული.

„უმრავლესობაში არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ პუტინის მიმართ სანქციები უნდა იქნეს შემოღებული, მაგრამ ასევე უმრავლესობის თავზე თუ შიგნით არის მისტიკური ძალა, რომელიც სანქციას ვეტოს თუ ტაბუს ადებს. ამდენი რაუნდები და კონსულტაციები სიტყვა „სანქციის“ დაწერას, რად უნდა?“, — აღნიშნავს გაბაშვილი, რომელიც for.ge-ს ინფორმაციით, უმრავლესობაში მყოფ „მისტიკური ძალაში“ გია ვოლსკის გულისხმობდა, რომელიც ჩვენი ინფორმაციით, რუსეთის მიმართ სანქციების შემოღების წინააღმდეგ გამოვიდა.

ჩვენი ინფორმატორის ცნობით, პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართული კონსულტაციების დროს, რეზოლუციის შინაარსს „თავისუფალი-დემოკრატები“ მიესალმნენ, დოკუმენტში სიტყვა „სანქციის“ გამოყენების წინააღმდეგ კი გია ვოლსკი წავიდა, რომლის საპასუხოდაც დავით უსუფაშვილმა კონსულტაციების გაგრძელება მოითხოვა.

for.ge-სთან საუბარში თავად გია ვოლსკი ყურადღებას ნაციონალების სპეკულაციებზე ამახვილებს და ამბობს, რომ უმცირესობა პარტიული ინტერესების შესაბამისად მოქმედებს.

„მრავლის მომცველი ფორმულირებაა გაკეთებული და ეჭვი მაქვს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ამას პოლიტიკური სპეკულაციებისთვის იყენებს. ისეთ თემებს წევენ, რასაც არსებულ ვითარებაში პრაგმატულ გადაწყვეტილებად თავად უკრაინის რადა არ მიიჩნევს. ხელისუფლება სახელმწიფო ინტერესებისთვის მუშაობს, ნაციონალები კი პარტიული ინტერესებისთვის“, — აცხადებს კანონმდებელი, რომელიც იმედს გამოთქვამს, რომ რეზოლუციის ტექსტი შეთანხმდება.

თანაგუნდელის მსგავსად, ნაციონალებს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ვიქტორ დოლიძეც აკრიტიკებს და აცხადებს, რომ მოლაპარაკებების პროცესში გაჟღერებული საკითხების საჯაროდ გამომზეურება ამორალურია.

დოლიძის განცხადებით, უმცირესობასა და უმრავლესობას შორის აზრთა სხვადასხვაობა რაღაც სიტყვებთან დაკავშირებით არის.

„როდესაც მტერს ელაპარაკებიან, მოლაპარაკებების დეტალები გარეთ არ გამოაქვთ. იმედი მქონდა, რომ რეზოლუციას მივიღებდით და კონსენსუსამდე მივიდოდით, მაგრამ რაღაც სიტყვებთან დაკავშირებით უთანხმოებაა. ვიმედოვნებ, რომ ნაციონალები სწორ არჩევანს გააკეთებენ, რაც სამწუხაროდ, იშვიათად ხდება. მართალი გითხრათ, რასაც გაბაშვილი და მინაშვილი აკეთებენ, ეს მიუღებელი, არამორალური და არადიპლომატიურია, რადგან ისინი მოლაპარაკებების პროცესში გაჟღერებულ საკითხებს ამზეურებენ“, — განუცხადა for.ge-ს დოლიძემ.

რეზოლუციის ტექსტი ცხრაპუნქტიანია და მასში აღნიშნულია, რომ საქართველო მხარს უჭერს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველო გადაჭრით გმობს რუსეთის მიერ წარმოებულ სამხედრო, პოლიტიკურ აგრესიას და ევროკავშირსა და ნატოს მოუწოდებს უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის დასაჩქარებლად ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

შეგახსენებთ, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესების თაობაზე, საქართველოს პარლამენტმა უკვე სამი განცხადება მიიღო. კერძოდ, პირველ ტექსტში, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებამდე მომზადდა, ყურადღება ვილნიუსის სამიტის მნიშვნელობაზე იყო გამახვილებული, მეორე განცხადებაში ხაზგასმული უკრაინელი ხალხის მხარდაჭერა იყო, ხოლო მესამე რეზოლუციაში ქართულმა მხარემ მეგობარ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესები დაგმო და უკიდურესი შეშფოთება გამოხატა მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ ძალის გამოყენების გამო.

**თეონა მანაგაძე**

# ყირიმის რადამ ავტონომიის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის დადგენილებას მხარი დაუჭირა

**ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა რადამ ავტონომიის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე დადგენილებას მხარი დაუჭირა. ამის შესახებ „ინტერფაქსი“ იუწყება. ამასთან, ყირიმის უმაღლესი რადას მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ ყირიმი რუსეთს სუბიექტის სახით შეუერთდეს.**

— რადამ დაადგინა — შეუერთდეს რუსეთის ფედერაციას რუსეთის სუბიექტის სახით; 2014 წლის 16 მარტს დაინიშნოს საყოველთაო რეფერენდუმი, რომელზეც გამოტანილი იქნება შემდეგი ალტერნატიული საკითხები: 1) მხარს უჭერთ თუ არა ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შეერთებას რუსეთის სუბიექტის ფარგლებში და 2) მხარს უჭერთ თუ არა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის 1992 წლის კონსტიტუციის აღდგენას და ყირიმის, როგორც უკრაინის შემადგენელი ნაწილის, სტატუსს, — ნათქვამია ყირიმის უმაღლესი რადას პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



* * *

**ყირიმის უმაღლესი რადას გადაწყვეტილებით, ყირიმის სტატუსის შესახებ რეფერენდუმი, 30 მარტის ნაცვლად 16 მარტს გაიმართება. ამის შესახებ უკრაინული მედია იუწყება.**

ამასთან, რეფერენდუმის შედეგად გაირკვევა, შეუერთდება თუ არა ყირიმი რუსეთის ფედერაციას.

თავდაპირველად ყირიმის სტატუსის შესახებ რეფერენდუმი 25 მაისს იყო დანიშნული, პრეზიდენტის არჩევნების პარალელურად, შემდეგ საკითხის დაჩქარების მიზნით, რეფერენდუმი 30 მარტს გადმოიტანეს. გუშინ მიღებული გადაწყვეტილებით კი, რეფერენდუმი 16 მარტს გაიმართება.

**ინტერპრესი**

# ისევ ნეიტრალიტეტის შესახებ

**დიახ, ეს, დიდი პატივია, როცა პოლიტიკის და პოლიტოლოგიის მეტრის მიერ გახმოვანებული მოსაზრებები, ემთხვევა რიგითი პოლიტოლოგის ნააზრევს! საქმე ის არის, რომ ამ საკითხზე დიდი ხანია, ვსაუბრობ და ვწერ, რომ ფინეთის და ავსტრიის მსგავსად, რომლებიც ნეიტრალური სახელმწიფოები არიან, საქართველოსთვისაც აუცილებლად მიმაჩნდა და მიმაჩნია ასეთი სტატუსის მიღება, რათა ქვეყანა გავამთლიანოთ - სახელმწიფო სუვერენიტეტის შენარჩუნების პირობებში! ჩემი ოპონენტები კი, ბრალდებებს მიყენებდნენ, ერთნი ბრალს მდებდნენ „რუსეთუმეობაში“, ხოლო მეორენი დასავლეთისადმი „მორჩილებაში“ მადანაშაულებდნენ. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი, იმედია, რომ „პროდასავლელები“ დიდ ზბიგნევს, ამერიკული პოლიტოლოგიის ერთ-ერთ მამას, „კრემლის აგენტობას“ ვერ დააბრალებენ, ხოლო „პრორუსები“, უკრაინის მაგალითზე მაინც მიხვდებიან იმას, რომ გლობალურ პოლიტიკაში დასავლეთის მონაწილეობის გარეშე და რუსეთთან ერთი-ერთზე „ფლირტით“ საქართველოს პრობლემების მოგვარება შეუძლებელია — დაუბრუნდეთ თემას, დიახაც, „ავსტრიული და ფინური“ ვარიანტები ზუსტად ესადაგება საქართველოს და უკრაინის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, მათ ამოცანებს და მიზნებს! ხოლო, კონფრონტაცია რუსეთთან, რაც სააკაშვილმა მოახდინა საქართველოში და დღეს სთავაზობს უკრაინას, იქნება დამღუპველი, უპერსპექტივოა და საბოლოოდ დაანაწევრებს ორივე მათგანს!..** და კიდევ, უკრაინის მაგალითზე კარგად გამოჩნდა, თუ რას ნიშნავს დიდი სახელმწიფო და რამდენად მნიშვნელოვანია მისი გეოპოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტა დანარჩენი მსოფლიოსთვის. **ბ-ნი ბჟეზინსკი, რომელიც დასავლეთის რუსეთისადმი რადიკალური პოლიტიკური კურსის გატარების მომხრედ და სულისჩამდგმელად გვევლინებოდა, დღეს, რუსეთის და დასავლეთის ერთობლივი მოქმედებისკენ მოგვიწოდებს, რაც ემთხვევა საქართველოს ინტერესებს.** ვფიქრობ, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის აუცილებელია მისი იდეის გააზრება და ამის საფუძველზე ალტერნატიული სტრატეგიული „ფორმულის“ შემუშავება, რომელიც ქვეყნის გამთლიანების და დეოკუპაციის საშუალებას მოგვცემს!

აი, ინებეთ რამდენიმე ციტატა ზბიგნევ ბჟეზინსკის „რეცეპტიდან“, რომელიც დაიბეჭდა „ფაინეშენალ თაიმსში“: **„რუსეთს შეუძლია უკრაინა მწვავე, დესტრუქციულ და საერთაშორისო მასშტაბით სახიფათო სამოქალაქო ომში ჩაითრიოს. ყირიმს და უკრაინის რამდენიმე სამრეწველო აღმოსავლეთ ნაწილს გამოყოფისკენ უბიძგოს“. — ანუ, რაც რუსეთმა უკვე განახორციელა საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში — სეპარატისტიზმის გაღვივება და მათი „დამოუკიდებლობის აღიარება“.** ამასთან, ამერიკელი პოლიტოლოგი დასავლეთს მოუწოდებს: **„აშშ-მა უნდა აუხსნას პუტინს, რომ ისარგებლებს საკუთარი გავლენით, რათა ნამდვილად დამოუკიდებელმა და ტერიტორიულად მთლიანმა უკრაინამ გაატაროს ფინეთის მსგავსი კურსი — ჰქონდეს ორმხრივი, ურთიერთპატივისცემაზე აგებული მეზობლობა, რუსეთთან და ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობების ფართო სპექტრი, არ მიიღოს მონაწილეობა სამხედრო ალიანსში, რომელსაც მოსკოვი მის წინააღმდეგ მიმართულად მიიჩნევს და, ამასთან, გააფართოოს ევროპასთან ჩართულობა. მოკლედ, რომ ვთქვათ, ფინური მოდელი იდეალური მაგალითია უკრაინისთვის, ევროკავშირისა და რუსეთისთვის.** თუმცა, პრივატულ საუბრებში ვაშინგტონმა უნდა განუმარტოს კრემლს, რომ კიევში განვითარებადი დემოკრატიის დესტაბილიზაციის მცდელობა ან უკრაინისთვის ზოგიერთი ნაწილის გამოყოფა, რომ აღარაფერი ითქვას რუსეთის მიერ მეზობელი ქვეყნების შიდა კონფლიქტებში ღია ან ფარულ ჩარევაზე, აიძულებს ვაშინგტონს ისარგებლოს საკუთარი საერთაშორისო გავლენით, რათა გადადგას ნაბიჯები, რომლებიც მოსკოვს ეკონომიკურად ძვირად დაუჯდება“.

ახლა კი, თქვენი ნებართვით, **ჩემი სტატიიდან** (interpressnews.ge. „საქართველოს დეოკუპაციისა და გამთლიანების სტრატეგია ავსტრიის გამოცდილებას უნდა დაეფუძნოს“ — 18.05.2012). **ორ ციტატასაც მოვიყვან, რათა დარწმუნდეთ, თუ როგორ დაემთხვა ერთმანეთს ბ-ნი ბჟეზინსკის მიერ გამოთქმული იდეა, თქვენი მონა-მორჩილის მიერ ადრე გახმოვანებულ მოსაზრებებს. ამ სტატიაში, ჩემი მიმართვის ადრესატი ბიძინა ივანიშვილი გახლდათ, იმის იმედად, რომ სააკაშვილის ავანტიურისტულ რეჟიმს გამოვცვლიდით და შესაძლებელი გახდებოდა ამ იდეის განხორციელება, მაგრამ... მოკლედ, იქნებ ჩვენმა ხელისუფლებამ, დიდ პოლიტანალიტიკოსს, ბ-ნ ზბიგნევ ბჟეზინსკის მაინც დაუჯეროს!..** ახლა კი, პირველი ციტატა სტატიიდან „ნეიტრალიტეტისთვის კი არ უნდა ვიბრძოლოთ“, ბატონო ბიძინა, არამედ — საქართველოს გამთლიანებისთვის! აბა ისე, რა საჭიროა ნეიტრალიტეტი, თუ მისი მეშვეობით აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ვერ დავიბრუნეთ?! ამის მისაღწევად კი, ნეიტრალიტეტის, როგორც საშუალების და მეთოდის გამოყენება, ვფიქრობ, არ უნდა გამოირიცხოს.

რომ კრემლს დიდი ხანია, შემუშავებული აქვს საქართველოს „ნეიტრალიტეტის რუსული სცენარი“, ანუ ნეიტრალიტეტის „რუსული ვერსია“, რომლის შესახებაც თქვენ „ბავშვური გულუბრყვილობით“ კითხულობთ — „რას ნიშნავს ეს რუსული ვარიანტი“?! საიდან მოიტანა ამ პოლიტოლოგმა“?! „რას ნიშნავს“ ჩემო „მიამიტო“ ბატონებო და მისი განხორციელება ნიშნავს შემდეგს: საქართველოს სახელმწიფოებრიობის და დამოუკიდებლობის იმიტაციას, ეროვნული თავისუფლების პროფანაციას, — სუვერენიტეტის დაკარგვას!“. ამ თემაზე, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, სერიოზულად და ქვეყნის სასიკეთოდ არავინ დაფიქრებულა.

## „საქართველოს ხელისუფლებამ ზბიგნევ ბჟეზინსკის მაინც დაუჯეროს!“

### „რუსეთს უკრაინასთან მიმართებაში „ფინური ვარიანტი“ სჭირდება“, — ამ სათაურით აქვეყნებს გამოცემა The Financial Times ზბიგნევ ბჟეზინსკის სტატიას “




სწორედ ამას არ ითვალისწინებენ ნეიტრალიტეტისადმი უნდობლობით გამსჭვალული ქართველი პოლიტიკოსები და ექსპერტები. ეს არ გახლავთ ის ნეიტრალიტეტი, რომელიც ხშირად მაგალითად მოყავთ ამ იდეის მოწინააღმდეგეებს (არადა, თავად ვერაფერს გვთავაზობენ?!), მხედველობაში მაქვს, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ბოლშევიკურ რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომელიც იყო ორმხრივი და არც საერთაშორისო გარანტორები ყავდა და არც საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეყრდნობოდა (პირიქით, შეიცავდა ისეთ პუნქტებს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ნეიტრალიტეტთან) ასევე, არ გამოდგება ამ იდეის საწინააღმდეგოდ მოლდოვას მიერ ცალმხრივად გამოცხადებული ნეიტრალიტეტი, რომელიც არაფრით არ ავალდებულებს არც რუსეთს და არც დასავლეთს. მე ვსაუბრობ საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებულ ნეიტრალიტეტზე, რომლის გარანტორები იქნებიან — აშშ, რუსეთი, ევროკავშირი და გაერო. კარგად მესმის, რომ ბიძინა ივანიშვილი ფრთხილობს (მართალიც არის), ვინაიდან ნეიტრალიტეტი მოსკოვის შემოგდებული თემა იყო და მას პრორუსული ძალები ლობირებდნენ. სწორედ ამ „ლობისტებს“ მივმართე ჩემს ერთ სტატიაში: „ბატონებო, თქვენ კარგად იცით, ჩემი აზრით, საქართველოს დეოკუპაციის და გამთლიანების მაშველი ხაზი ნეიტრალიტეტზე გადის, მაგრამ, საქართველოს ნეიტრალიტეტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტური და ყოველმხრივ დაცული, თუ ის დაეფუძნება საერთაშორისო სამართალს და მას ეყოლება საერთაშორისო გარანტორები — აშშ, რუსეთი, ევროკავშირი, გაერო. რუსეთუმე ლობისტები კი, გამოირჩევიან ანტიამერიკული, ანტიდასავლური რიტორიკით და აცხადებენ, რომ მხოლოდ რუსეთი უნდა იყოს საქართველოს ნეიტრალიტეტის ერთადერთი გარანტორი.

**მეოცე საუკუნის 50-იან წლებში ჩიხური სიტუაცია იყო ავსტრიაში, სადაც დასავლეთსა და სსრკ-ს შორის მოლაპარაკებების შედეგად მეორე მსოფლიო ომის მოკავშირეები (აშშ, სსრკ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) შეთანხმდნენ დეოკუპაციაზე, იმ პირობით, რომ ავსტრია გამოაცხადებდა ნეიტრალიტეტს. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, ავსტრიაში, კერძოდ ვენაში, პირველები საბჭოთა ჯარები შევიდნენ, მაგრამ, ვინაიდან ავსტრიაში კომუნისტური პარტია ძალიან სუსტი იყო, მათ ვერ შეძლეს მარიონეტული სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა. სსრკ-ს მიერ ავსტრიის ოკუპაცია 1945 წლიდან 1955 წლამდე გაგრძელდა. რუსებმა ამერიკელებს წაუყენეს წინაპირობა, რომლის არსი ასეთი იყო, — რუსები ავსტრიიდან ჯარებს იმ შემთხვევაში გაიყვანდნენ, თუ პარალელურად, მოკავშირეებიც: აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, დატოვებდნენ მათ მიერ დაკავებულ სექტორებს. შეთანხმება შედგა, რის შედეგადაც, — ავსტრიამ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, რომლის გარანტებიც ოთხივე მოკავშირე გახდა. 1955 წელს მოხდა ავსტრიის მიერ მუდმივი ნეიტრალიტეტის აქტის მიღება (იგი ახლაც ძალაშია), რომელიც ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანონითაც (კონსტიტუცია) განისაზღვრა. ავსტრია ევროკავშირის წევრია, მაგრამ არ არის ნატოში. სხვათაშორის, იმდროინდელი ავსტრიის პოლიტიკური ელიტის და საზოგადოების დიდი უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ნეიტრალიტეტისა და ნატოს შექმნისას სურდათ ალიანსში შესვლა, მაგრამ, — მხოლოდ ნეიტრალიტეტის მიღება იძლეოდა ქვეყნის დეოკუპაციის საშუალებას და მათ ეს არჩევანი გააკეთეს. ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ ავსტრიელები არ შემცდარან და მათ აიხდინეს ავსტრიული ოცნება. ქართველებმაც ავსტრიელების სტრატეგია უნდა ავირჩიოთ, — უარი ვთქვათ ნატოში შესვლაზე, თუ ეს გადაწყვეტილება (შეთანხმება დასავლეთსა და რუსეთს შორის) უზრუნველყოფს საქართველოს დეოკუპაციას და გამთლიანებას, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუვალობას, უსაფრთხოებას, დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას“.** — და, მეორე ციტატა:“ ..ბალტიის ქვეყნები (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) ვახსენე და არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ბალტიის სახელმწიფოებს ნატოში შესვლისას არ ქონდათ ავტონომიური წარმონაქმნები თავის ტერიტორიებზე, რომლებიც ორიენტირებულები იქნებოდნენ რუსეთზე. ეს რომ ასე ყოფილიყო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ბალტიელები ნატოს წევრობის ფასად საკუთარ ტერიტორიულ მთლიანობას არ დააყენებდნენ საფრთხის ქვეშ. **გავიხსენოთ ფინეთის მაგალითი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, — ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ამის შედეგად დასავლეთიდან მიიღო დიდი ინვესტიციები და განვითარებული ეკონომიკა შექმნა. როგორც ნეიტრალურ ქვეყანას, რუსეთმა ფინეთს თავისი ბაზარი გაუხსნა (ფინური პროდუქცია დასავლეთში, — არაკონკურენტუნარიანი იყო). ამ გონივრული გადაწყვეტილების შედეგია, რომ დღეს ეს პატარა ქვეყანა მსოფლიოში უმდიდრესი სახელმწიფოა, ვფიქრობ, ეს ვარიანტი განხილვის ღირსი ნამდვილად არის“.**

აი, ასე... მოკლედ, **ზბიგნევ ბჟეზინსკის ეს სტატია იმის დადასტურებაა, რომ - დასავლეთში ძალიან კარგად ესმით ის, რომ რუსეთი არ შეცვლის თავის პოლიტიკას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, თუ ამ საკითხში არ იქნება მიღწეული კომპრომისი და კონსენსუსი, - დასავლეთს, რუსეთსა და საქართველოს შორის!** როდესაც საქართველოს ხელისუფლება საუბრობს დასავლური კურსის ერთგულებაზე, სწორედაც რომ, ასეთ **„ევროპულ ფორმატში ჯდება ნეიტრალიტეტის ავსტრიული და ფინური მოდელები“,** რომელსაც (ზბიგნევ ბჟეზინსკის „ფორმულა“!) ამერიკელებიც და



ევროპელებიც მოიწონებენ და რუსებსაც დაითანხმებენ მის განხორციელებაზე, **რაც ნიშნავს საქართველოს გამთლიანებას და ევროპულ განვითარებას!!..**

**ჯუმბერ კირვალიძე,**
პოლიტოლოგი.

---

**ალიან-ჩალიანი**

## იგეგმება წიწამურში ილიას ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია



**რეგიონული** განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მთავრობის სხდომაზე 12 საკითხი განიხილა და 12-ვე დამტკიცდა.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, დამტკიცებული პროექტებიდან განსაკუთრებით გამოყოფს წიწამურში, ილიას ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის პროექტს. ნარმანია ამბობს, რომ კულტურული, ასევე ინფრასტრუქტურული, ტურისტული თვალსაზრისით ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. როგორც მინისტრმა აღნიშნა, გარდა ამისა, დღევანდელ სხდომაზე დამტკიცდა კონფლიქტისპირა სოფლის გზის გაკეთების პროექტი, კერძოდ ეს არის წალენჯიხა-მუჟავა-ფახულანის გზა საბერიომდე.

— ასევე, დავამტკიცეთ მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ თბილისში გაკეთდეს მიუსაფართა თანამედროვე თავშესაფარი. პირველ ეტაპზე საპროექტო სამუშაოები იქნება შესყიდული და ძალიან სწრაფად დასრულდება ეს პროექტი. ძირითადი მონახაზი უკვე გაკეთებულია, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ინტერპრესი

◉ ჰაი გიდი, აბასთუმან!

# სოციალური რევოლუცია და დაკვეთილი კოჰაბიტაცია

**ეს წერილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსმა (ხაზს ვუსვამ: სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსმა) ბატონმა გელა ჩივიაშვილმა ერთ-ერთ ჩვენს თანამოქალაქეს მისწერა. მოქალაქეს, რომელსაც უამრავი ადამიანის მსგავსად სულს იქით არაფერი გააჩნია და ერთადერთ იმედად სახელმწიფოს მწირი დახმარება დარჩა.**

მოდით, პათეტიკას თავი დავანებოთ და ეს წერილი დაწვრილებით განვიხილოთ. დაწვრილებით, რადგანაც მიუხედავად მცირე მოცულობისა, მასში საკმაოდ ბევრი რამ არის ნათქვამი და, სამწუხაროდ, აბსოლუტურად ზუსტად გვიჩვენებს დღევანდელი ხელისუფლების „ზრუნვას" საკუთარ მოსახლეობაზე.

დავიწყოთ ფრაზით: **შეუძლებელია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არქონის შემთხვევაში დაგარეგისტრიროთ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.**

უკაცრავად, მაგრამ რას ნიშნავს ეს ფრაზა?

ე. ი. სააგენტო პირდაპირ ამბობს, რომ **ადამიანი, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ვერ დარეგისტრირდება სოციალურად დაუცველად!**

რა დავარქვათ ამას?

აბსურდი, ცინიზმი, პრობლემის თავიდან მოცილება, თავხედობა, თუ არაკომპეტენტურობა?

ჩვენი აზრით, ყველაფერი ერთად!

დიახ, აბსურდი, რადგანაც უმარტივესი ლოგიკიდან გამომდინარე, ადამიანი, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი არ აქვს, სოციალურად დაუცველია და უკვე მოხსნილია სოციალური აგენტის „ვიზიტის" აუცილებლობა. მოხსნილია რაღაც „ქულების" დათვლის, და მისი ანგარიშის საჭიროება. უკვე აღარ არსებობს არავითარი ზღვარი, რომელიც დასვამს კითხვას: არის თუ არა ის ადამიანი სოციალურად დაუცველი!

პასუხი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ცინიზმად, დაცინვად, თავხედობად და, ძალიან რბილად რომ ვთქვა — სისულელედ.

არის თუ არა ეს არაკომპეტენტურობა?

ერთი შეხედვით, არა. თქვენ წარმოიდგინეთ, და, პასუხი აბსოლუტურად კომპეტენტურად არის გაცემული, მოყვანილია შესაბამისი საკანონმდებლო აქტი (საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126-ე დადგენილება), რომლის მიხედვითაც უსახლკარო ადამიანს არ ეკუთვნის არამც თუ პრობლემის გადაწყვეტა, არამედ რაიმე სახის სამუშაოს ჩატარება, რაც ამ შემთხვევაში სოციალური აგენტის „ვიზიტს" ნიშნავს (შესანიშნავი სიტყვაა „ვიზიტი"!).

კარგით. ვთქვათ, რომ ეს კანონი 2010 წელს, ანუ მიხეილ სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ზეობის პერიოდში იყო მიღებული და თავისი შინაარსით ამ რეჟიმის არსს, ანუ საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ბრძოლას და მათს ფიზიკურ თუ მორალურ განადგურებას ემსახურებოდა.

მე მაინტერესებს, თუ რა მოიმოქმედა სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსმა ბატონმა გელა ჩივიაშვილმა ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ?

რატომ არ დააყენა საკითხი პირველივე თათბირზე ამ ყოვლად უაზრო დადგენილების შესაცვლელად? რატომ არ მიმართა სააგენტოს ხელმძღვანელს, მინისტრს, პარლამენტს?

დარწმუნებული ვარ, რომ ამ სააგენტოს თანამშრომლებმა ყველაზე უკეთ იციან საქართველოს მთავრობის მიერ 2010 წლის 24 აპრილს მიღებული №126 დადგენილების აბსურდულობა.

მაშინ რას ნიშნავს ეს?

გულგრილობას? სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი! მე რა ვქნა, ერთი პატარა კაცი ვარ, ერთი პატარა დეპარტამენტი მაბარია „პატარა ხელფასით და დანამატით" და ვინ რას მეკითხება?

ანალოგიური განუკითხაობაა შემოსავლების სამსახურის და სოციალური მომსახურების სააგენტოს ტანდემსა და იმ მოქალაქეებს შორის, ვისაც „გაუმართლა" და მინისტრის ხელფასთან შედარებით ბიუჯეტიდან 100-ჯერ ნაკლები თანხა მიიღო დახმარების სახით (ხაზს ვუსვამ — 100-ჯერ!).

ოჯახს, რომელიც დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მოუხსნეს ის მწირი დახმარება იმის გამო, რომ მათი ოჯახის ერთ-ერთ წევრზე, შემოსავლების სამსახურმა დააფიქსირა შემოსავალი. თქვენ წარმოიდგინეთ და შემოსავლების სამსახური არ დაინტერესდა, თუ რის გამო „მიიღო შემოსავალი" სოციალურად დაუცველმა ადამიანმა.

გაინტერესებთ?

გეტყვით! ის დააპატიმრეს. დიახ ის ადამიანი დღეს იმყოფება გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მასზე, როგორც წესი, ყოველდღიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ირიცხება გარკვეული თანხა.

სწორედ ამ „ინფორმაციის საფუძველზე, სოციალური დახმარების სააგენტომ ოჯახის „გარეთ მყოფ" წევრებს სოციალური დახმარება მოუხსნა.

რა არის ეს? შეცდომა თუ ცინიზმი?

მინდა, გავიმეორო ჟოზეფ ფუშეს სიტყვები, რომელიც მან ნაპოლეონის მიმართ ენგიენის ჰერცოგის სიკვდილით დასჯის შემდეგ თქვა:

— ეს უკვე შეცდომა კი არა, დანაშაულია!

პარლამენტი „მუხლჩაუხრელი შრომობდა" ბუსუსებიანი პრეზერვატივების შესახებ („მწვავე დებატებიც" იყო ამ „უდიდეს" პრობლემასთან დაკავშირებით), იბრძოდა ურმებზე მუხრუჭების დაყენებისთვის, მისხალ-მისხალ ზომავდა ჩოხა-ახალუხის ფერს და ხანჯლის სიგრძეს. ადგენდა, უადგილო ადგილას საქონლის გადამრეკი მეხრის მიმართ (არადა, მეხრე სულ სხვა „თანამდებობაა", მწყემსი სულ სხვა) დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობას.

წვალობენ ჩვენი კანონმდებლები და თუ ისეთი უმარტივესი საკითხის გადასაჭრელად, როგორიც სოციალურად დაუცველი ადამიანების შესახებ საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებაა, ვერ მოიცალეს, ნუ დავძრახავთ.

როგორ მოიცლის ასეთი უაზრო საკითხისთვის საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი ქ.-ნი თინა ხიდაშელი, რომელმაც ბიუჯეტის ხარჯზე 2013 წელს 102 დღე (ანუ, ფაქტობრივად, ყოველი მესამე დღე) საზღვარგარეთ მივლინებებში გაატარა და საგარეჯოს რაიონის „კეთილდღეობაზე ზრუნვაში" ფრიად საჭირო და აუცილებელი შეხვედრები გამართა. მერე რა, რომ შედეგი არ ჩანს. აქ ოლიმპიური პრინციპის არ იყოს, მთავარი შედეგი კი არა, მონაწილეობაა.

რა დროს სოციალურად დაუცველი მოქალაქეებია, როდესაც ფინანსთა სამინისტრომ უცხოელი სტუმრების გამასპინძლებისთვის, მხოლოდ მუსიკის მომსახურებაში 860 ლარი გადაიხადა. კულტურის სამინისტრომ 750-ლარიანი სასაჩუქრე ბროშები დაამზადა და 100-ლარიანი ალკოჰოლური სასმელები შეიძინა. ინფრასტრუქტურის სამინისტროს ნორმალური მუშაობისთვის 150 კგ. ყავა სჭირდება და უშიშროების საბჭოს მდივანმა თანამშრომლებთან ბიუჯეტის ხარჯზე ნაყიდი 1500-ლარიანი ტელეფონით უნდა მოახდინოს კომუნიკაცია.

როგორც ქალბატონმა თინა ხიდაშელმა „პალიტრა ტვ"-ის ეთერში განაცხადა, კოჰაბიტაცია, ანუ დამნაშავე რეჟიმთან თანაცხოვრება, იმ რეჟიმთან, რომელმაც 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილება მიიღო, საქართველოს მოსახლეობის დაკვეთა ყოფილა. მან დაამატა, რომ თურმე კოჰაბიტაცია მოსახლეობის 20 პროცენტის დაკვეთაა. იმ 20 პროცენტისა, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებზე „ნაციონალების" კანდიდატს მისცა ხმა. მინდა, ქალბატონ თინას ვუთხრა, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა მოსახლეობის 20 პროცენტი კი არ მიიღო, არამედ არჩევნებზე მისული 46,7 პროცენტის 20 პროცენტი, რაც რეალურად 10 პროცენტსაც კი არ შეესაბამება.

მიუხედავად საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტებისა, რომლებშიც საქართველოს ეკონომიკური წინსვლა დიდი აღტაცებით შუქდება, პირდაპირ მინდა ვთქვა, რომ საქართველოში უმძიმესი სოციალური ფონია და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კრეისერ „ავრორას" გასროლას ელოდება.

გაითვალისწინეთ ეს „ძვირფასო" ხელისუფალნო, გაითვალისწინეთ, რადგანაც სოციალური რევოლუცია არც „ვარდების" რევოლუციაა და არც „იების". სოციალურ რევოლუციას ძალიან მკაცრი განაჩენი გამოაქვს ყველა იმათთვის, ვინც ამ რევოლუციის პირობები მოამზადა.



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA
Legal Entity of Public Law
SOCIAL SERVICE AGENCY

KA030445797281514

[illegible]
144 Ak. Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia. Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/12205

13 / თებერვალი / 2014 წ.

[illegible] (პირადი N 01015002613)

[illegible]

ბატონო ზაზა,

[illegible]

პატივისცემით,

[illegible]

**გია გაბრიჭიძე**

◉ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● მესმის, რომ კოლაბორაციონიზმი არ გაძლევთ უფლებას, ილაპარაკოთ სიმართლე, ვითომ სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ მე ხომ შემიძლია? იმ ამერიკის და იმ ევროპის დედა ვატირე, ცხრა წელი ნაციონალებს ჩვენი სამშობლო რომ აუპატიურებინეს და დღემდე რომ ცდილობენ იგივე გაგვიჩალიჩონ! — ცოტა მომეშვა გულზე! ფსიქოთერაპიული პოსტია!

● საქართველოს ისტორია 2003 წლიდან:

კოლეგა პოლიტიკოსები — ნუგზარ წიკლაური და შარლ დე გოლი;

კოლეგა ფილოსოფოსები — მიხეილ თავხელიძე და სოკრატე;

კოლეგა დრამატურგები — ლაშა ბუღაძე და ბერტოლდ ბრეხტი;

კოლეგა მწერლები — „დეფი" და ონორე დე ბალზაკი;

კოლეგა პოეტები — კოტე ყუბანეიშვილი და გალაკტიონი;

კოლეგა მომღერლები — ნინა წკრიალაშვილი და ელა ფიცჯერალდი;

კოლეგა კომპოზიტორები — გოგა ხაჩიძე და ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი;

კოლეგა პატრიოტები — მიხეილ სააკაშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი;

● ყირიმს ჯვარი წერია და... სოჭი და საინგილო ხო არ მოგვეთხოვა? (კიდევ არის რამდენიმე, მარა ეგ მოგვიანებით).

● დარწმუნებილი ვარ ქეცბაია სამ-ოთხ წელიწადში უკრაინას გამოიყვანდა კრიზისიდან...

● ნატოს პარავოზი გევიდა სტანციიდან(!), უკვე? გრიგორი მელეხოვი დეეწევა ახლა მაგას?

● ხალხო, რა ხდება? საკუთარი შეხედულების დაფიქსირებას ერიდებით? მიშას დრო გამახსენდა. როგორც კი რუსეთზე დავდებ რაიმე ინფორმაციას ან სტატუსს, ვგრძნობ, რომ დალაიქება გინდათ და ერიდებით... რას და ვის ერიდებით? რისი ან ვისი გეშინიათ? ან რას ვწერ ისეთს, რომ მოსარიდებელი იყოს? რასაც ვწერ ფაქტია და არა პოზიცია! საპირისპირო დაწერეთ.... სიჩუმეს სჯობს!

● ერთი რუსეთის და უკრაინისაც რააა)) ინდოეთზე უნდა გადავერთოთ!

მოკლედ, 7 აპრილიდან ინდოეთში საყოველთაო არჩევნები დაიწყება, რომელიც მაისამდე გასტანს.

ეუფ... ამოვისუნთქე!

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**




# ჟიული შარტავას ზნეობრივი გმირობა

**„დიდბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა“** — მართალს ბრძანებთ დიდო ილია მართალო, მაგრამ ქართველები ხომ იმითაც გამოვირჩევით, რომ თუ ვინმე დიდბუნებოვანი და რჩეული გამოგვერია, სიცოცხლეშივე ისე დავკორტნით **„როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“...**

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო, გვასწავლის წინაპარი, მაგრამ... ამ ბოლო წლებში ურემიც მრავალგზის გადაგვიბრუნდა, ლამის მთელი სამშობლოც თავზე ჩამოგვექცა, გზა კი მაინც არა და არ გამოჩნდა...

ჟიული შარტავას ულვთო სიკვდილი მარტოოდენ ერთი კაცის სიკვდილი არ იყო. აფხაზეთის ომს მრავალი გმირი ჰყავს..

აფხაზმა და განსაკუთრებით რუსმა კარგად იცოდნენ, ჟიულის სახით ვის უკლავდნენ საქართველოს.

ქართველებმა კი დღესაც არ ვიცით (თუ არ გვინდა, ვიცოდეთ!), ვინ იყო ეს მამულისთვის გულის სისხლის დამთმობი კაცი.

ფუნქციონერმა კომუნისტმა და (უფრო ადრე კომკავშირელმა) კარიერისტმა ჟიული შარტავამ დემეტრე თავდადებულის გმირობა ჩაიდინა...

ის თაობებისთვის ღვთისგან ბოძებული ზნეობრივი და სულიერი სიმტკიცის გამონათება გახდა.

ჟიული შარტავა ის კაცი იყო, რომელმაც ეგრეთ წოდებული საბჭოთა „უძრაობის“ ხანაში უდიდესი ეროვნული საქმენი აკეთა.

ჟიული შარტავა ის კაცი იყო, რომელიც შრომისა და ბრძოლის ფრონტზე სიქას გაგაცლიდა, მეორე დღეს მაინც მის გვერდით იდექი, რადგან მუდამ შენზე მეტს შრომობდა და იბრძოდა...

კაცი — მაგალითი...

ჟიული შარტავა ის კაცი იყო, რომელიც „ნალდ თბილისელებსა“ და „პროვინციელ სოფლელებს“ ერთმანეთისგან არასოდეს არჩევდა, ნიჭსა და პატრიოტიზმს, სიკეთესა და ერთგულებას თანაბრად მიაგებდა პატივს.

ჟიული შარტავა ის კაცი იყო, ვინც მირზა გელოვანი მეორედ „აღმოაჩინა“ და მის თანატოლ ქართველ ბიჭებს მეოცე საუკუნე „მხრებზე შეუგდო“.

ჟიული შარტავა ის კაცი იყო, რომელიც ვერ ეთვისებოდა სიყალბეს, ბოროტებას, შურს, ეგოიზმს, ცილისწამებას, სულმდაბლობას... უბრალოდ, მას ამისთვის არასოდეს ეცალა.

ჟიული შარტავა ის კაცი იყო, ვინც საკუთარ სამეგობროს, მთელ თაობას გვირგვინად ადგა და სუსტებს ძმასავით პატრონობდა.

ჟიული შარტავა ის კაცი იყო, ვისაც აუგი სიტყვა არავისთვის უკადრებია, სხვათა უტაქტობისა და უგნურების შემხედვარეს კი იმათ მაგივრად რცხვენოდა.

ჟიული შარტავა ის კაცი იყო, რომელსაც აფხაზეთში წასვლამდე არსაკიძესავით მოკვეთეს მკლავი (თანაც რამდენჯერმე!), მაგრამ არ გაბოროტებულა, გაეცლებოდა მურტალთა სამყოფს და დროებით მიყუჩდებოდა. ხალხი კი გაფაციცებით კითხულობდა: „სად არის შარტავა?“

ბოლოს, სოხუმშიც, ისევ მხატვარი, ცალტვინა „სარდლებისა“ და ლოთი ნაძირლების თუ ნაძირალა ლოთების პირწმინდა ღალატით, მონასტერი ისე აირია, მაშინ უუფლებო სახელმწიფოს ლიდერის ედუარდ შევარდნაძის დაჟინებულ მოთხოვნას არ (იქნებ ვერ!) დაემორჩილა, უშერმადინო ავთანდილივით დარჩა, გონებაარეულ მტერს მოწმენდილ ცასავით კრიალა თვალებით და ნათელი შუბლით დაუხვდა და თავისთვის წაიჩურჩულა: **„გაუმარჯოს სიკვდილშიაც არდანებებას!“.**

არ ეგონა, მაინც არ ეგონა, თუ ასე გაწირავდნენ, ის ხომ აფხაზეთსა და აფხაზებზე გადაყოლილი მეგობარი იყო...

პირსისხლიანმა არძინბამ და მისმა რუსმა „ძმებმა“ კი კარგად იცოდნენ, თუ ვის და რატომ უკლავდნენ საქართველოს...

1992 წლის 27 სექტემბერს კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ:

აფხაზეთის მთავრობისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, გმირობისთვის დაბადებული გენერალი შარტავა წელში გამართული, უკვე უხორცოსავით უშიშარი, შეუდრეკლად უყურებდა სიკვდილს თვალებში. გზამ, რომელიც სრული თვითგვემით, გულის სისხლით გამოიარა, ცოტნე დადიანივით მტრის მომნუსხველად აქცია ... (ვაგლახ, რომ მონღოლივით ვაჟკაცობის დაფასების უნარიც ვერ გამოიჩინა აფხაზმა!).

იდგა ჟიული — საუკეთესო ქართველი გენის განსახიერება, აღასრულებდა თვითშეწირვად ქცეულ საკუთარ ცხოვრებას. არც უცდია მუხლებზე დაცემა, სწორედ ის გზა, თავისი წარსული არ ანებებდა სხვაგვარად მოქცეულიყო... უზომოდ წუხდა აფხაზეთში დაცემული ბიჭების გამო და ლაჩრულად უკუქცეული თანამემამულეების სანაცვლოდ წირავდა თავს...

**„ახლა ის აღარ იყო მარტო ჟიული შარტავა, თავისი ქვეყანა და ერი იყო“,** — შესანიშნავად იტყვის მერე ჯანსულ ღვინჯილია.

**„მაპატიე, ჟიული, არ მეგონა თუ ასეთი ვაჟკაცი და რაინდი იყავი“** — დასაფლავების დღეს, ჟიულის კუბოსთან აღიარებს „მხედრიონის“ მამა ჯაბა იოსელიანი, რომელიც ცოტა ხნის წინათ გვაიმედებდა: „ჩემმა ბიჭებმა ისე გაამაგრეს გაგრა, ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო ქალაქში“...

**ჟიული შარტავას სიკვდილით აფხაზეთში ქართული ურემი ხარებიანად ამოყირავდა... მას შემდეგ, ამ ურემთან ერთად, ლაფსა და სირცხვილში, შუღლსა და ქიშპობაში ყელამდე ვართ ჩაფლული...**

აფხაზეთს სამაჩაბლოც დაემატა, კოდორის ხეობაც სვანთაგან დაცარიელდა... გავიდა უმძიმესი 22 წელიწადი. ნაცარქქია ალექსანდრე ანქვაბი კი დღეს გამომწვევად ამბობს: „თავს აბსოლუტურ პრეზიდენტად მივიჩნევ. თუ ევროპაში ვინმე არ მცნობს, ეს არა ჩემი, არამედ მისი პრობლემაა. საქართველომ წარსულში უკვე ბევრი საჩუქარი მიიღო, მთელი აფხაზეთი იყო საქართველოს საჩუქარი, მაგრამ არ არსებობდა ისტორიული სამართლიანობა. აფხაზეთი არ არის საქართველო“...

ყველა მიხვდება, ასე ვინ აჯეჯილებს აფხაზთა თვითმარქვია პრეზიდენტს, თითქოს აღარ ახსოვს, აღარ წაუკითხავს დიდი აფხაზის დიმიტრი გულიას ანდერძი: **„ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ცოტაა ვთქვათ, რომ მოძმე ერები ვართ. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ხალხი ვართ. არა მგონია ქართველებს ჰყავდეთ უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზებია, აფხაზებსაც ასე მიაჩნიათ ქართველები და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა, გადაგვარჩინა. ვინც ამ ძმობას წაშლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იგი თავისა მტერია“...**

ამიტომაც არ ეგონა ფსიქოლოგიით და რწმენით **აფხაზ** ჟიული შარტავას, თუ ასე უმოწყალოდ გაიმეტებდნენ და აფხაზები კიდევ ერთხელ აღმოჩნდებოდნენ საკუთარი თავის მტრები.

აფხაზეთის მიწაზე ჟიული შარტავას სახელი ისევე უკვდავია, როგორც ქართველ-აფხაზთა საუკუნოვანი ძმობა... მოვა დრო, როცა თითოეული აფხაზი ამას მიხვდება.

**დიდბუნებოვანი 70 წლის ვაჟკაცი ჟიული შარტავა აფხაზების გმირიც არის... დღეს თუ არ არის, ხვალ აუცილებლად იქნება...**

**სპარტაკ ქოზულია**

**ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამზრდელო ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ!.**

* * *

**სამეგრელოში შერწყმულია ქუჯი ეგრისელის სიბრძნე, გიორგი ჭყონდიდელის მწიგნობრობა, ცოტნე დადიანის რაინდობა, კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნული სულისკვეთება, იოსებ ჟორდანიას კაცთმოყვარეობა, ჟიული შარტავას გმირობა და თავდადება...**

**შოთა ნიშნიანიძე**

⊙ ვითარება

# ფოთს არ სჯერდება და ბათუმსაც უმიზნებს?!

## როგორია „როსნეფტის“ სამომავლო გეგმები საქართველოში?

**რუსული „როსნეფტი“ საქართველოს თითქმის მთელ ზღვისპირეთს გააკონტროლებს. აფხაზეთში ეს კომპანია უკვე აქტიურად მუშაობს და ახლა ფოთის პორტსაც უმიზნებს. სამომავლოდ რუსული გიგანტი რა გადაწვეტილებას მიიღებს, ძნელი სავარაუდო არ უნდა იყოს. მისი მზერა, ალბათ, ბათუმისკენ იქნება მიმართული.**

ამის მიუხედავად, საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური რუსული კომპანია „როსნეფტის“ მიერ ფოთის პორტის მეშვეობით გადაზიდვების გაზრდაში „ცუდს ვერაფერს ხედავს“. მინისტრი იმ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, რუსული კომპანია „როსნეფტი“ ფოთის ტერმინალით დაინტერესებას ადასტურებს.

**„ეს ინფორმაცია წავიკითხე. იქ არ წერია, რომ „როსნეფტი“ ფოთის პორტით არის დაინტერესებული. იქ წერია, რომ „როსნეფტი“ ფოთის პორტის მეშვეობით გადაზიდვებით დაინტერესდა. სხვა ინფორმაცია არ მაქვს. იგივე ინფორმაცია მაქვს, რაც თქვენ. საუბარია, რომ „როსნეფტი“ აპირებს, ფოთის პორტის მეშვეობით გადაზიდვები გაზარდოს. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ“,** — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

უმჯობესია, მინისტრს ჟურნალისტებზე მეტი ინფორმაცია მაგრამ, რადგან ასე არ არის, მაშინ მედიიდან მოუწევს დეტალების გაცნობა. „როსნეფტის“ ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ ლეონტიევი ადასტურებს, რომ კომპანია ფოთის ნავთობტერმინალის შესყიდვაზე მის მფლობელთან, „ჩენელ ენერჯისთან“, მოლაპარაკებებს აწარმოებს, თუმცა, უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს კომპანიის აქტივების 50% უკვე შეისყიდა.

**„დიახ, არის ინტერესი, რომელიც უკავშირდება „როსნეფტის“ მიერ გაფორმებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, საწვავის მთლიან მოცულობას ვაწვდით სომხეთს. ეს დიდი მოცულობაა, რომელიც ფოთის ტერმინალით უნდა გადავტვირთოთ. ეს კომერციული მოლაპარაკებებია და დეტალებს არ გავახმოვანებ“,** — განაცხადა ლეონტიევმა.

„როსნეფტში“ იმასაც აღნიშნავენ, რომ პორტში ვითარება **„კრიმინალურ-პოლიტიკური ხასიათის გარემოებებითაა დამძიმებული“, რაც რუსულ კომპანიას აშფოთებს.**

**„პორტის ნომინალური აქტივების ერთ-ერთი ბენეფიციარი ყოფილი თავდაცვის მინისტრია. ეს არც ისე მარტივია, თუმცა, თუ რუსეთი კარგ პირობებს მიიღებს, შესაძლებელია, კიდეც შედგეს შეთანხმება. პრინციპში, ახლა საქართველოში შემოსვლის სასიცოცხლო აუცილებლობა არ დგას. ქვეყანაში რომ შეხვიდე, მის მთავრობასთან პოზიტიური ურთიერთობა უნდა გქონდეს“,** — განაცხადა ლეონტიევმა.

იქვე მან ბათუმის ნავთობტერმინალის შესყიდვით დაინტერესება კატეგორიულად უარყო. **„ამის შესახებ არაფერი მსმენია. ეს ჰგავს ვილაცის მცდელობას, სასურველი რეალობად გაასაღოს“,** — განაცხადა ლეონტიევმა.

იხ. 6 გვ.

**კანონმდებლები**




**საქართველოს პარლამენტს „ქამრის შემოჭერა" მოუწევს. მარტის ბოლოდან ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო ორ ქალაქში - თბილისსა და ქუთაისში იმუშავებს. შესაბამისად, სახელმწიფოს ორი შენობის შენახვა მოუწევს.**

**მმართველი გუნდი ირწმუნება, რომ პარლამენტი 59 მილიონლარიანი დაფინანსებით შემოიფარგლება და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების გამოყოფას არ მოითხოვს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ გამჭვირვალე შენობის შენახვა თვეში 90 ათასი ლარი ჯდება, უწყების ხარჯებს, სავარაუდოდ, რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობის შენახვაც გაზრდის.**

**თუ როგორ მოახერხებს „ქამრის შემოჭერას" საკანონმდებლო ორგანო, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ თბილისში საკომიტეტო მოსმენების გამართვას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები აქვს.**

**ერთი მხრივ, კომიტეტების ეფექტიანობა გაიზრდება, რადგან ქუთაისში საკომიტეტო მოსმენები სათანადო დონეზე არ ხდება, მაგრამ, მეორე მხრივ, აპარატის თანამშრომლებს ქუთაისში სიარული ისევ მოუწევთ, რადგან თბილისში კომიტეტების სხდომები გაიმართება, ქუთაისში კი — პლენარული სხდომები. შესაბამისად, დეპუტატებისა და აპარატის თანამშრომელთა ბინებით უზრუნველყოფისთვის წელიწადში დაახლოებით 4 მილიონი ლარი ისევ საჭირო იქნება.**

# „გაორებული" პარლამენტი თუ ნაყოფიერი მუშაობა?

**„პარლამენტის ორი შენობის ფუნქციონირების შემთხვევაში, რთული იქნება მუშაობა როგორც აპარატის თანამშრომლებისთვის, ისე დეპუტატებისთვის. სასურველია, პარლამენტის ხელმძღვანელობამ კონკრეტული გეგმა წარმოადგინოს, თუ რა და როგორ იქნება. ერთადერთი, რასაც ხელისუფლება აკეთებს, ფუფუნების შექმნაა. საუბარი იმაზე, რომ ამომრჩევლებთან შეხვედრა სურთ და შენობა ამიტომ არის საჭირო, ტყუილია, რადგან ყველა რაიონში მაჟორიტარების ბიუროები არსებობს, რისთვისაც ბიუჯეტიდან წელიწადში 60 ათასი ლარი გამოიყოფა. დეპუტატის ნახვა პრობლემა არ არის. მაჟორიტარები ბიუროებში უნდა იყვნენ, ან პარტიულ ოფისებში. „ქართულ ოცნებას" თბილისის ცენტრში კარგი ოფისი აქვს და მათ მოქალაქეებთან შეხვედრა იქაც შეუძლიათ",** — აცხადებს უმცირესობის წევრი მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც პირობას დებს, რომ თბილისის პარლამენტში კაბინეტის აღებას არ აპირებს, რადგან ეს ზედმეტ ფუფუნებად მიაჩნია.

ოპონენტისგან განსხვავებით, პრობლემების წარმოქმნას ვიცე-სპიკერები მანანა კობახიძე და ზვიად ძიძიგური არ ელოდებიან და ამბობენ, რომ თბილისში მდებარე შენობა შეხვედრებისთვისაც იქნება გამოყენებული.

ძიძიგურის განცხადებით, აპარატის დიდი ნაწილი თბილისში გადავა.

**„შესაძლოა, რეგლამენტსაც გადავხედოთ და რისი შეცვლაც იქნება საჭირო, შევცვალოთ. არასასესიო კვირა დატვირთული თბილისში იქნება, სასესიო კი ქუთაისში. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ხარჯებს არ გავცდეთ და დამატებითი თანხები არ მოვითხოვოთ",** — განუცხადა for.ge-ს ძიძიგურმა, რომლის პათოსსაც მანანა კობახიძე იზიარებს.

კანონმდებლის მოსაზრებით, პარლამენტის ორივე შენობა ათვისებული იქნება.

**„თბილისში მდებარე შენობაში მოქალაქეებს შევხვდებით და რაც მთავარია, კომიტეტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ თბილისში იმუშაონ. ამასთან, აქტიური კომუნიკაცია გვექნება მთავრობასთან, რაც მნიშვნელოვანია. შენობას არ ვარემონტებთ იმისათვის, რომ იდგეს, არამედ ვაკეთებთ, რომ ავითვისოთ. რაც შეეხება აპარატის წევრებს, შესაძლოა, მათ შორის ფუნქციები გაიმიჯნოს და საკომიტეტო მუშაობისთვის გარკვეული რესურსი და ფუნქციები გადანაწილდეს. მოქალაქეებს რომელიმე სასტუმროს ფოიეში, ან იუსტიციის სახლში არ უნდა ვხვდებოდე, მაშინ, როდესაც დეპუტატი ვარ. ბევრი თემა არსებობს, რომელიც დეპუტატების თბილისში ყოფნას ითხოვს",** — განუცხადა for.ge-ს კობახიძემ, რომელსაც გიორგი თევდორაძე არ ეთანხმება და ამბობს, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით ბაქანალიაა.

დეპუტატის თქმით, ატეხილი აჟიოტაჟი ხელისუფლების უნიათო პრინციპებზე მიუთითებს.

**„უაზრო ხარჯები გაიწევა. ამას გარდა, არ ვიცი, სამართლებრივად როგორ გაიმართება საკომიტეტო მოსმენები თბილისში, რადგან კონსტიტუციაში წერია, რომ სხდომები უნდა ჩატარდეს ქუთაისში. ხელისუფლება ამბობს, რომ მთავრობისგან შორს ვართ და ამით მუშა პროცესს ვაზიანებთ, მაგრამ საკომიტეტო მოსმენები და პლენარული სხდომები რომ იქნება დაშორებული, ეს პრობლემას არ შექმნის?",** — განუცხადა for.ge-ს თევდორაძემ, რომლისგან განსხვავებით, ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ დეპუტატებს თბილისში მუშაობის სივრცე გაუჩნდებათ.

კანონმდებლის შეფასებით, თუ საკომიტეტო მოსმენები თბილისში გაიმართება, დეპუტატების საქმიანობა ინტენსიური გახდება.

**„ნაციონალები ამბობენ, რომ ოთახებს არ დაიკავებენ და აქეთ გვეუბნებიან, ამომრჩევლებს პარტიულ ოფისებში შეხვდითო. რატომ მიბრძანებენ ამას? მოქალაქეებს სადაც ურჩევნიათ, იქ მიდიან. ალბათ, ისინიც დაფიქრდებიან და ოთახებს აიღებენ. პარლამენტი ორ ქალაქში ამუშავდება. იქ კანონიერად ვიქნებით, აქ კი სტუმრად ვართ. რაც შეეხება ხარჯვითი ნაწილის გაზრდას, პარლამენტს საკუთარი ბიუჯეტი აქვს, რომელსაც ერთ თეთრს ვერ მივუმატებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაცაში გავწევთ ეკონომიას, რაღაცაში არა",** — განუცხადა for.ge-ს ბერძენიშვილმა.

თუ რამდენად ეფექტური იქნება საკომიტეტო მოსმენები თბილისში, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ქუთაისში კომიტეტებზე ხშირად კვორუმის პრობლემაა და სხდომებს ადგილმონაცვლე დეპუტატებით ავსებენ.

**შეგახსენებთ, რომ თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში, სხდომათა დარბაზები წინა ხელისუფლებამ მოშალა. ამ დროისთვის, პლენარული სხდომის დარბაზის აღდგენა-რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობს, დეპუტატთა კაბინეტები და საკომიტეტო მოსმენებისთვის განკუთვნილი დარბაზები კი გარემონტებულია და ინვენტარის შესაძენად ტენდერიც გამოცხადდა.**

**თეონა მანაგაძე**

**ვითარება**

# ფოთს არ სჭირდება და ბათუმსაც უმიზნებს?!

**(მეხუთე გვერდიდან)** აღსანიშნავია, რომ **„როსნეფტს" სომხეთის ნავთობპროდუქტების ბაზრის დაკავების (მისი მოცულობა კი წელიწადში 360 ათას ტონას აღწევს) სერიოზული ინტერესი აქვს. კომპანიამ სამჯერ — 12 მილიონ ტონამდე, გაზარდა ტუაფსეს ნავთობგადამმუშავებელი ტერმინალის სიმძლავრე, შესაბამისად, საექსპორტო არეალის გაფართოება სჭირდება.**

„ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, **2013 წლის დეკემბერში სომხეთს „როსნეფტის" პრეზიდენტი იგორ სეჩინი ესტუმრა და პრეზიდენტ სერჟ სარქსიანს შეხვდა. ვიზიტის ფარგლებში სეჩინმა სომხეთში მაღალტექნოლოგიური კაუჩუკის ერთობლივი საწარმოს შექმნაზე შეთანხმება გააფორმა, სადაც 500 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს.**

ამავე დროს, სომეხ პარტნიორთან, „ოილ ტექნოსთან" ერთად, „როსნეფტმა" ერთობლივი კომპანია „როსნეფტ სომხეთი" დააფუძნა და მასთან ნავთობპროდუქტების მიწოდებაზე ხელშეკრულებაც გააფორმა. გარდა ამისა, ინტენსიური მოკვლევა დაიწყო მეზობელ ქვეყანაში საწვავის საბითუმო და საცალო ქსელების აქტივების შესყიდვაზე.

**სომხეთს ნავთობპროდუქტების ძირითადი ნაწილი აქამდე ფოთის პორტის გავლით თურქული კომპანია OMV-ის რუმინეთში მდებარე ქარხნებიდან მიეწოდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ რუმინეთში რუსული კომპანია „ლუკოილის" მსხვილი ნავთობგადამმუშავებელი საწარმოც მდებარეობს, სახელმწიფო კომპანია „როსნეფტისთვის" წარმოების ერთიანი ჯაჭვი იკვრება. სომხეთისთვის ნავთობის მიწოდების ერთადერთი გზა კი ფოთის ნავთობტერმინალზე გადის.**

საჯარო რეესტრის მონაცემებით, ფოთის ნავთობტერმინალის აქციათა 75% გიბრალტარში დარეგისტრირებულ კომპანია „ჩენელ ენერჯის" ეკუთვნის, 25% კი — ფოთის პორტს. „ჩენელ ენერჯი" თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის სახელს უკავშირდება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" კვლევის მიხედვით, 2012 წლის არჩევნების შემდეგ, კეზერაშვილის აქტივების უმეტესობა, მათ შორის, ფოთის პორტის ნავთობტერმინალის ოპერატორი შპს „ჩენელ ენერჯი" რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენმა დავით იაკობაშვილმა შეიძინა.

როგორც ცნობილია, **რუსული ნავთობკომპანია „როსნეფტი" შავი ზღვის შელფის ათვისებითაა დაინტერესებული, რაც ტექნოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ძვირ მონაკვეთადაა მიჩნეული. 2009 წლიდან, „როსნეფტი" აფხაზეთის აკვატორიაში გააქტიურდა და მან აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისაგან საძიებო სამუშაოების დაწყების ნებართვაც მიიღო.**

**„როსნეფტის" ოფიციალურ საიტზე განთავსებული ინფორმაციით, რესურსების მარაგის წინასწარი შეფასება დაახლოებით 270 მილიონი ტონაა. სხვადასხვა მონაცემებით, შავი ზღვის ფსკერის ქვეშ 4,6 მილიარდი ბარელი ნავთობია და აქ 180 ჭაბურღილის გაბურღვა შეიძლება, მათგან 28-ის — ბულგარეთის, 82-ის — რუმინეთის, 20-ის — თურქეთისა და 2-ის საქართველოს ტერიტორიულ წყლებში.**

2 წლის წინათ, „როსნეფტმა" იტალიურ კონცერნ „ენისთან" და ამერიკულ „ექსონმობილთან" ბარენცისა და შავი ზღვის ერთობლივი ათვისების შესახებ სტრატეგიული ხელშეკრულება გააფორმა. „ენისთან" მმართველობის ხელმოწერა ვლადიმირ პუტინის თანდასწრებით გაფორმდა, რაც ბარენცის ზღვის სამხრეთ და ცენტრალური მონაკვეთისა და შავი ზღვის დასავლეთის ნაწილში არსებული შელფების ათვისებას ითვალისწინებს.

**კომპანია „როსნეფტი" რუსული ნავთობმომპოვებელი დარგის ერთ-ერთი ლიდერია და რუსეთის სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიათა ნუსხაში შედის. კომპანიის მთავარი აქციონერი (75,16%-ის მფლობელი) 100%-იან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი „როსნეფტგაზია", მხოლოდ 15%-მდე აქციებია კერძო.**

**ბექა დანელია**

**ალიან-ჩალიანი**

# ნინო ბურჯანაძე დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრებს განაგრძობს




**ნინო ბურჯანაძე საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრებს განაგრძობს. როგორც „ინტერპრესნიუსს" „დემოკრატიული მოძრაობიდან" აცნობეს, ნინო ბურჯანაძე საბერძნეთის, შვეიცარიისა და იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს ხვდება.**

**— საუბრის ძირითადი თემაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და ამ მიმართულებით ხელისუფლების უუნარო პოლიტიკა, რის შედეგადაც საქართველოს ტერიტორია ყოველდღიურად პატარავდება, — აღნიშნულია „დემოკრატიული მოძრაობის" განცხადებაში. მათივე ცნობით, შეხვედრებზე განსახილველი უმთავრესი საკითხია „ქვეყანაში ჩამოყალიბებული აშკარად უსამართლო საარჩევნო გარემო".**

**როგორც პარტიაში აცხადებენ, „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი დიპლომატებს ინფორმაციას აწვდის არსებული საარჩევნო კანონმდებლობის უსამართლობისა და „ქართული ოცნების" მიერ ადგილობრივი არჩევნების წინ „დემოკრატიული მოძრაობის" მიმართ დისკრიმინაციული გარემოს შენარჩუნების შესახებ. ნინო ბურჯანაძის თქმით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ „დემოკრატიულ მოძრაობას" არ მიეცეს შესაძლებლობა, ნორმალურ და თანაბარუფლებიან გარემოში იბრძოლოს მომავალ არჩევნებზე შედეგის მოსაპოვებლად.**

**„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა შეხვედრები უკვე გამართა ამერიკის, ევროკავშირის, ევროსაბჭოს, უნგრეთის, რუმინეთის, ვატიკანის, ლატვიის წარმომადგენლობათა ხელმძღვანელებთან.**

**შეხვედრები მომავალ კვირაშიც გაგრძელდება.**

**ინტერპრესი**

ჯანდაცვა

# მარტო დაზღვევა რის მაქნისია, თუ ექიმამდე ვერ მიაღწიე კაცმა, ანდა წამალი ვერ შეიძინე...

**საყოველთაო** სამედიცინო დაზღვევა, რომლის შემოღება, მისი მცირე ფინანსური უზრუნველყოფის მიუხედავად, კოალიცია „ქართულ ოცნებას" ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანად, თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია მოსახლეობის სოციალურად ნაკლებად წელგამართული ფენებისთვის, მათი ოპონენტების, განსაკუთრებით ნაცმოძრაობის წარმომადგენელთა გაუთავებელი კრიტიკისა და იქედნური შენიშვნების ობიექტადაა ქცეული. უსაფუძვლო კრიტიკას რომ არ მივყვეთ, ალბათ, უმჯობესი იქნება, ყურადღება მისი მიმდინარეობის ეტაპობრიობასა და მართლაც არსებულ ზოგიერთ ხარვეზზე გავამახვილოთ, რომელთა გამოსწორება, ჩვენი აზრით, ამ უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხისადმი უფრო აწონ-დაწონილი მიდგომის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია.

მოსახლეობის საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის ახალ სისტემაზე გადასვლისას თავშივე ითქვა, რომ იგი რამდენიმე ეტაპად წარიმართებოდა. მათგან პირველი ორი, ფაქტობრივად, უკვე განხორციელდა, მესამე ეტაპი შარშან წლის მიწურულამდე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ჯერაც არ დაწყებულა.

საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის **მესამე ეტაპი შინაარსობრივად შეფასებითი ხასიათისა იქნება, ამდენად იგი ჯანდაცვის რეფორმირების უშუალო გაგრძელებად არ უნდა მივიჩნიოთ.** ამასთან, თავად ამ დარგში სახელმწიფო პროგრამა კვლავაც არჩეული პრიორიტეტული მიმართულებებით გაგრძელდება, რომელთაგან ზოგიერთის გაშლა-გაფართოებაა გათვალისწინებული. მანამდე კი **ექსპერტები პროგრამის ფინანსურ, ადმინისტრაციულ და ხარისხის მართვის ეფექტიანობას შეაფასებენ.**

პროგრამის მესამე ეტაპს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ წინა ორის შედეგების გათვალისწინებით იქნება შესაძლებელი ფინანსური სახსრების ისე გადანაწილება, რომ ხალხმა უფრო მეტად ის სახეობის სამედიცინო მომსახურება მიიღოს, რომელზეც მოთხოვნა სხვებთან შედარებით მაღალია. საქმე ისაა, რომ ამჟამად სადაზღვევო კომპანიის საბრუნავი სახსრების ნახევარი სახელმწიფო მმართველობის ხელში გადადის, ამდენად ის, თუ რა მოცულობით იქნებიან ისინი ჩართულნი სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში, რეფორმის მესამე ეტაპის შედეგებზე იქნება დამოკიდებული და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახსრების გადანაწილებას, რეფორმების მართვის თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება. ექსპერტთა აზრით, **საჭიროა იმის ანალიზი, თუ რაზე იყო მოთხოვნა უფრო მეტი, სად იყო დაფინანსება უფრო ჭარბი და რას ეყო ნაკლებად — ეს ეხება ცალკეულ დაავადებათა** მკურნალობისას ამა თუ იმ სახის ჩარევის აუცილებლობას, მის გადაუდებლობას და, ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებულ ხარჯს. გასარკვევია, თუ რომელ სამედიცინო ჩარევებზეა მოსახლეობაში უფრო ნაკლები საჭიროება და რამდენად შესაძლებელია საქმის უვნებლად დაფინანსების გარკვეული მუხლების შემცირება და უფრო მეტი მოთხოვნის მქონე მუხლებში მისი გაზრდა.

აქ, როგორც ჩანს, პირველი, რაც ყველასთვის თვალში საცემია, **საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოთხოვნა სამკურნალო პრეპარატებზეა.** აქედან გამომდინარე და იმ სამწუხარო ფაქტის გათვალისწინებით, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე ქმედითი ანტიმონოპოლიური ღონისძიებები არ გატარებულა, რომელთა შედეგად მედიკამენტებზე ფასები დაიკლებდა (ბოლო ხნის მანძილზე მათი ფასები კი პირიქით, საშუალოდ10-20 პროცენტით გაიზარდა), საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის **რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად, როგორც ჩანს, სახსრების სწორედ ამ სექტორში მიმართვა უნდა მივიჩნიოთ.** ეს კი, ალბათ, იმ სეგმენტების ხარჯზე უნდა მოხდეს, რომლებზეც მოთხოვნა მოსახლეობაში სხვებთან შედარებით უფრო ნაკლებია. ამას, დარწმუნებული ვართ, ჯანდაცვის სამინისტროშიც კარგად ხვდებიან, მით უმეტეს, რომ დაზღვევის პროგრამით მედიკამენტების საფასურის მთლიანი, ან თუნდაც ნაწილობრივი ანაზღაურება საერთოდ არაა გათვალისწინებული. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ეს იმ კატეგორიის მოსახლეობისთვის, რომელიც ცხოვრების დონის შესაბამისად არც სოციალურ დახმარებას არ იღებს, ხოლო ძვირიანი დაზღვევა მისთვის ხელმისაწვდომი არ არის.



საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის პროგრამის კიდევ ერთი დიდი პრობლემა სამედიცინო დაწესებულებათა შესაძლებლობებზე მეტი ბენეფიციარია, რომელთა გაზრდილ ნაკადებს ისინი ხშირად ფიზიკურად ვერ აუდიან. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო თვეებში ორი სადაზღვევო კომპანია გაკოტრდა და მათთან დაზღვეული ხალხი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში გადავიდა, ვითარება კიდევ უფრო გართულდა, რასაც, როგორც თავად პაციენტები, ასევე სამედიცინო დაწესებულებათა პერსონალი უჩივის. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ოჯახის ექიმები ავადმყოფის თითო ვიზიტში შეურაცხმყოფელად მცირე გასამრჯელოს იღებენ, მდგომარეობა, ცხადია, სოციალურად კიდევ უფრო მეტად მძიმდება.

ყველა ეს გარემოება, ბუნებრივია, სამედიცინო მომსახურების ხარისხზე ცუდად აისახება, ხოლო თუ რას ნიშნავს ეს თითოეულის ჯანმრთელობისთვის, ამის განმარტება სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია. ეჭვი არავის ეპარება, რომ საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის პროგრამაში ჩართულ ყველა მოქალაქეს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების იმედი უნდა ჰქონდეს, რის გარეშე ამ მიმართულებით რეფორმასა და მასში ხალხის ფულის ხარჯვას საერთოდ აზრი ეკარგება.

**ოთარ ტურაბელიძე**

სტუდენტური გამოცემა




# ევროკავშირის ორმაგი სტანდარტი და არათანმიმდევრული პოლიტიკა

## რა პრეტენზიები აქვთ ახალგაზრდა პოლიტიკოსებს?

**იმ თაობამ, რომელმაც მოასწრო ცხოვრება საბჭოეთში, მეტნაკლებად იცის, თუ რას წარმოადგენდა სსრკ-ის შემადგენლობაში მყოფი დიდი რუსეთი და კიდევ 14 მეგობარი რესპუბლიკა. თუმცა მას შემდეგ გასულმა ორმა ათეულმა წელიწადმა თავისი დაღი დაასვა ისტორიას. ამ ისტორიას კითხულობენ დღეს 18-20 წლის ახალგაზრდები, რომელთაც ვერ გაუგიათ, რა იყო წარსულში და რა ხდებოდა რეალურად. წყაროები მრავალფეროვანია, მრავალმხრივია და ხშირად ერთმანეთის შეუსაბამო.**

ამ ფონზე ნამდვილად საინტერესოა ახალგაზრდების ინიციატივა, შეექმნათ პოსტსაბჭოთა კვლევების ცენტრი, რომლის აღმასრულებელი დირექტორია პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრი **თეონა ტურაშვილი**. ამ რამდენიმე დღის წინათ ცენტრმა ელექტრონული ჟურნალის პრეზენტაცია გამართა, რომელსაც ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო" აფინანსებს.

**„ჩვენმა ახალგაზრდებმა ევროპისა და ამერიკის შესახებ მეტი იციან, ვიდრე საბჭოთა კავშირის შესახებ, თუმცა კი, ჩვენი ქვეყნის უახლოესი წარსული სწორედ მას უკავშირდება,** — ამბობს თეონა ტურაშვილი, — **ამიტომაც გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა ცენტრი, სადაც თვითონ სტუდენტები მოიძიებდნენ ინფორმაციას პოსტსაბჭოთა ქვეყნების შესახებ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ სახელმწიფოებმა ტრანსფორმაცია განიცადეს. ჩვენ ვეძებთ ინფორმაციებს ლიდერების, მათი ბიოგრაფიისა და პროფილების თაობაზე, სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესებზე. ვამუშავებთ ანალიტიკურ წერილებს და სხვა. რადგან სტუდენტების მხრიდან ინტერესი გაჩნდა, გადავწყვიტეთ, ინტერნეტ-ჟურნალის შექმნა, რომელიც კვარტალში ერთხელ გამოვა".**

პოსტსაბჭოთა პოლიტიკის ანალიტიკური დაიჯესტის მთავარი რედაქტორი **ლევან კახიშვილი** ამბობს, რომ ჟურნალით მართლაც ბევრი სტუდენტი დაინტერესდა, გამოგზავნეს საკუთარი სტატიები, თუმცა მათგან მხოლოდ რამდენიმე შეირჩა. უმეტესობა სტანდარტებს ვერ პასუხობს: **„ჩვენი მოთხოვნა ასეთია: თემას არა აქვს მნიშვნელობა, მხოლოდ ის უნდა შეეხებოდეს რეგიონს, დაცული იყოს ციტირების სტილი და უნდა იყოს დაწერილი აკადემიურად. გამოგზავნილი სტატიების უმრავლესობაში ანალიზის ნაკლებობა იყო და პოპულისტური ენით იყო დაწერილი",** — აღნიშნა მან.

საგულისხმოა, რომ განსაკუთრებით აქტიურობენ სოციალ-პოლიტიკური დისციპლინის მაგისტრები და სტუდენტები. მათგან ყველაზე მეტი დაინტერესება მოიპოვა კომუნიუსის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, ევროპათმცოდნეობის მაგისტრის **გიორგი ბობღიაშვილის** წერილმა: „ევროკავშირის ნორმატიული საგარეო პოლიტიკა აზერბაიჯანისა და ბელარუსის მიმართ". ამ თემაზე ავტორმა მოხსენება წაიკითხა და ბოლოს აღნიშნა, რომ **„ორივე ქვეყანა თითქმის თანაბრად ასრულებს ევროკავშირის „პირობებს", თუმცა კი, ევროკავშირს სხვადასხვა მიდგომა აქვს. ის გაცილებით მეტს ითხოვს ბელარუსისგან, ვიდრე აზერბაიჯანისგან. მისთვის აზერბაიჯანის ენერგეტიკულ რესურსებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც ტოლერანტულია ადამიანის უფლებების, მედიის თავისუფლების, კორუფციის თვალსაზრისით. ბელარუსი კი ხელს აძლევს ევროკავშირს, როგორც გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ქვეყანა, სადაც უნდა, რომ იყოს სტაბილურობა. ადამიანის უფლებების დარღვევის გამო ევროკავშირმა 4-ჯერ აამოქმედა სანქცია ბელარუსის წინააღმდეგ და ორი დიდი სკანდალიც მოხდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ევროკავშირს ორმაგი სტანდარტი აქვს და არ არის თანმიმდევრული საკუთარი ნორმატიული აქტების მიმართ"...**

ვინაიდან ევროკავშირი უფრო მეტია, ვიდრე ორგანიზაცია და წარმოადგენს სახელმწიფოთა ნაერთს, ახალგაზრდა მკვლევარი კრიტიკულად უყურებს მის პოლიტიკას და პრეტენზიებიც აქვს. **„ევროკავშირს დეკლარირებული აქვს ერთი, მაგრამ აკეთებს სხვას. მართალია, ჩემი მოხსენება შეეხებოდა აზერბაიჯანსა და მოლდავეთს, თუმცა მათ მაგალითზე შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება, რომ ევროკავშირი ასეთივე ორმაგი სტანდარტით მოქმედებს საქართველოსა და უკრაინის მიმართაც. მაგალითად, ევროპაში კიევში განვითარებული მოვლენები უფრო მძაფრად აღიქვეს, ვიდრე თბილისში განხორციელებული მსგავსი საპროტესტო აქცია",** — აღნიშნა მან.

კარგია, როცა ახალგაზრდები ულრმავდებიან დეტალებს. აკეთებენ ანალიზს, მსჯელობენ, კამათობენ, საკუთარი მყარი შეხედულება აქვთ. ელექტრონული ჟურნალი კი მათ ამის შესაძლებლობას კიდევ უფრო გაუადვილებს. ცენტრში ფიქრობენ არეალის გაფართოებას, რათა აქტიურად ჩართონ არა მხოლოდ ქართველი, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების სტუდენტობა.

**თეა მოსია**

ალიან-ჩალიანი

# თავშესაფრის მაძიებელი უცხოელებისთვის მარტყოფში ცენტრი აშენდება

**თავშესაფრის მაძიებელი უცხოელებისთვის მარტყოფში ახალი ცენტრი აშენდება, - ამის შესახებ მთავრობის გუშინდელი სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს დევნილთა მინისტრმა , დავით დარახველიძემ განუცხადა.**

**მისივე განმარტებით, რამდენიმე სართულიანი შენობის მშენებლობას ამერიკული მხარე დააფინანსებს და დადებითი გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.**

**— აშშ-ში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის წარმატებულმა ვიზიტმა შედეგი უკვე გამოიღო — სულ მალე დაიწყება თავშესაფრის მაძიებელი უცხოელებისთვის ახალი ცენტრის დაპროექტება-დაფინანსება, რომელიც მარტყოფში აშენდება და 80 ადგილზე იქნება გათვლილი. ამის თაობაზე აშშ-ის სარდლობის ევროპის წარმომადგენლობასთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და საკითხი დადებითად გადაწყდა.**

**ინტერპრესი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროკავშირი საქართველოს რეფორმებისთვის 22,5 მილიონ ევროს გამოუყოფს

### შტეფან ფულემ მოგვიწოდა, „არ მოვადუნოთ ყურადღება“ საქართველოში რუსეთის მოქმედებასთან დაკავშირებით

**ევროკავშირი საქართველოს სახელმწიფო საფინანსო და დემოკრატიული ინსტიტუტების რეფორმირებისთვის 22,5 მილიონ ევროს გამოუყოფს. დოკუმენტს ხელი მოეწერა გაფართოებისა და მეზობლობის პოლიტიკის უმაღლესი ევროკომისრის შტეფან ფულეს ვიზიტის დროს თბილისში 4 მარტს.**

ვიზიტის დროს საქართველოს მხარემ განაცხადა, რომ საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ტექსტი შეთანხმდება და მზად იქნება ხელმოსაწერად მარტის ბოლოსთვის. შეგახსენებთ, რომ 2013 წლის ნოემბრის ბოლოს ევროკავშირის ვილნიუსის სამიტზე საქართველომ მოახდინა ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების პარაფირება და ხელშეკრულების ხელმოწერა ვაჭრობის თავისუფალი და ყოვლისმომცველი ზონის შესახებ. ელოდებიან, რომ შეთანხმებას ხელი მოეწერება მიმდინარე წლის აგვისტოში.

შტეფან ფულემ განაცხადა, რომ **ევროკავშირი მხარს დაუჭერს საქართველოს, თუ ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერამდე პერიოდში მასზე მოახდენენ ზეგავლენას, როგორც ეს მოხდა უკრაინის შემთხვევაში.**

**„ამოცანები და გამოწვევები, რომლებიც წინ გველოდება, არ იქნება მსუბუქი... ჩვენ ვიცით იმ ზემოქმედების შესახებ, რაც განხორციელდა უკრაინასთან დაკავშირებით ამ ქვეყნის სურვილის გამო მოაწეროს ხელი შეთანხმებას ასოციაციის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ზემოქმედება მოქმედებს აღმოსავლური პარტნიორების სხვა ქვეყნებშიც. ევროკავშირი მტკიცედ დადგება საქართველოს გვერდით იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ განხორციელდება რაიმე ზემოქმედება“,** — განაცხადა თბილისში ევროკავშირის გაფართოებისა და მეზობლოების პოლიტიკის უმაღლესმა კომისარმა.

შტეფან ფულემ განმარტა, რომ ევროკავშირი განიხილავს „მთელ რიგ ღონისძიებებს“, რათა მხარი დაუჭიროს საქართველოს ევროპულ არჩევანს, და უწინარეს ყოვლისა, ელოდება საქართველოსგან საერთო დემოკრატიული ღირებულებებისადმი, პლურალიზმისა და არაპოლიტიზებული სამართალდაცვის ერთგულებას.

ევროკომისარმა ასევე გვაცნობა, რომ ორმხრივ ურთიერთობათა გაღრმავების მიზნით ივნისში საქართველოში ჩამოვა ევროპული კომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ.

### „არ მოვადუნოთ ყურადღება“

**შტეფან ფულემ შეგვახსენა, რომ იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიოს ყურადღება კონცენტრირებულია უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, საჭიროა, გვახსოვდეს იმის შესახებაც, რომ „რუსეთის საქციელი საქართველოში ასევე წარმოადგენს სერიოზული შეშფოთების საგანს“.**

**„რუსეთი კვლავ უქმნის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრობლემებს, მათ შორის ბარიერების მშენებლობითა და სამხედრო ნაგებობებით, რაც ართულებს გადაადგილებებს იმ ხალხებს შორის, ვისაც მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ... ჩვენ არ უნდა შევასუსტოთ ყურადღება იმ დროს, როდესაც მთელი ყურადღება გამახვილებულია დასავლეთში მიმდინარე მოვლენებზე. ამ შემთხვევაში რუსეთმა ასევე უნდა დაიცვას საერთაშორისო სამართალი და პატივი სცეს თავისი მეზობლის, საქართველოს სუვერენიტეტს“,** — განაცხადა ევროკომისარმა.

თავის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ გაიმეორა ევროკავშირისადმი მიმართვა — უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ევროპული პერსპექტივა საქართველოსთვის მესამე მხარის ჩარევის შემცირებისთვის ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ არჩევანში. აღსანიშნავია, რომ შეთანხმება ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ, რომლის პარაფირებაც მოახდინეს საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ, არ გულისხმობს ევროკავშირში წევრობის პერსპექტივას.

**„ევროპული პერსპექტივების გახსნა ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე აღმოსავლური პარტნიორობის რეგიონში გამოწვევებისა და უკანასკნელ ხანებში უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. იმედი მაქვს, რომ ევროკავშირი თავის განცხადებებში მკაფიოდ დააფიქსირებს საქართველოს ევროპული პერსპექტივების მხარდაჭერას“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ.

### „არ არის ბოლო გაჩერება“

**უკანასკნელ პერიოდში თბილისი არაერთგზის აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ ევროკავშირმა უნდა მისცეს აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, დაპირება, რომ ისინი ბოლოს მაინც გახდებიან ევროკავშირის წევრები, თუ დააკმაყოფილებენ შესაბამის კრიტერიუმებს. საქართველოს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილთან პრეს-ბრიფინგის დროს, შტეფან ფულემ ევროკავშირთან საქართველოს ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის ნაცვლად გაიხსენა „ლისაბონის შეთანხმების ხელმოწერა“, რომლის 49-ე მუხლი ითვალისწინებს ევროკავშირში სახელმწიფოს წევრობის სამართლებრივ საფუძველს. ფულემ უმალვე გაასწორა შეცდომა, მაგრამ შემდეგ ღიმილით მიმართა ქართველ პრემიერს: „რატომ გავიხსენე ლისაბონის შეთანხმება? ვიცი რატომაც... 49-ე მუხლის გამო“.**

მან დაუმატა, რომ, მისი აზრით, შეთანხმება ასოციაციის შესახებ არ უნდა იყოს „ბოლო გაჩერება“ იმ ქვეყნებისთვის, ვინც მიისწრაფვის გახდეს ევროკავშირის ნაწილი.

### პატრიარქთან შეხვედრა

**საქართველოს ხელმძღვანელობის, ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების გარდა, შტეფან ფულე ასევე შეხვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რომელიც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, რაც უკანასკნელ წლებში მოეწყო, შეიძლება მივიჩნიოთ რესპუბლიკის ყველაზე პოპულარულ ლიდერად. მაგალითად, უკანასკნელი გამოკვლევის თანახმად, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა განახორციელა, პატრიარქის მხარდაჭერის რეიტინგმა 94 პროცენტი შეადგინა.**

ილია მეორესთან შეხვედრამდე ფულემ განაცხადა, რომ განზრახული აქვს დაარწმუნოს პატრიარქი, რომ ევროკავშირი „არ აპირებს გამოაცალოს ნიადაგი საქართველოს ტრადიციულ ღირებულებებს“, ვინაიდან ევროკავშირი სწორედ ხელს უწყობს „ისეთ უნივერსალურ ღირებულებებს, როგორებიცაა ტოლერანტობა, ღირსება და პატივისცემა“. აღსანიშნავია, რომ ადრე საქართველოს პატრიარქმა სააღდგომო გზავნილში განაცხადა: საქართველო „ქრისტიანული ევროპის ნაწილია“, მაგრამ ევროკავშირმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში „ტრადიციები და აზროვნების წესები“.

**„საქართველოს აქვს თავისი ტრადიციები და ღირებულებები, და ჩვენი არავის არ უნდა ეშინოდეს“,** — განაცხადა ფულემ და განმარტა, რომ აუცილებელია გაიფანტოს ასოციაციის შესახებ შეთანხმების გარშემო არსებული „მითები“. კერძოდ, თქვა ევროკომისარმა, ეს შეეხება მტკიცებებს, თითქოს ევროკავშირთან ხელშეკრულების გაფორმება მოითხოვს ერთსქესიანი ქორწინებების მიღებას.

**„ხელშეკრულებაში არაფერი ამის მსგავსი არ არის: საქართველო არ არის ვალდებული მიიღოს ამგვარი კანონი“, — თქვა ფულემ და დაუმატა, რომ ერთადერთი მოთხოვნა არის ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება.**

**„ანტიდისკრიმინაციული კანონი — იმის გარანტიაა, რომ დამოკიდებულება ადამიანებისადმი არ იქნება დისკრიმინაციული მათი სქესის, რასის, ეროვნულობისა და სექსუალური ორიენტაციის გათვალისწინებით“,** — განმარტა ევროკომისარმა.

საქართველოს საპატრიარქოში შეხვედრაზე ილია მეორემ შტეფან ფულეს აცნობა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მისთვის ცნობილი გახდა ევროკომისრის განცხადება მისი განზრახვის შესახებ დაარწმუნოს საქართველოს პატრიარქი, რომ ევროკავშირი არ უგულებელყოფს ქართულ ტრადიციებს. ილია მეორემ აღნიშნა, რომ ამის აუცილებლობა არ არსებობს, ვინაიდან იგი „დიდი ხანია, დარწმუნებულია ამაში“.

საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ზოგიერთი სამეცნიერო-პრაქტიკული გაერთიანება ცდილობს მოახდინოს ეკლესიის დისკრედიტირება, როდესაც ამბობს, რომ სულიერება „ართულებს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს“, ვინაიდან, ილია მეორის აზრით, როდესაც ავრცელებ ასეთ „არასწორ ინფორმაციას“, ეს ორგანიზაციები ღებულობენ გარკვეულ გრანტებსა და დაფინანსებას.

**„მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ქართული ეკლესია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს იდეა (საქართველოს ევროინტეგრაცია) განხორციელდეს“,** — უთხრა პატრიარქმა ევროკომისარს.

ვიზიტის დროს, რომელიც 5 მარტს დასრულდა, გაფართოებისა და მეზობლობის პოლიტიკის უმაღლესი ევროკომისარი ასევე შეხვდა ოპოზიციური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს. პარტიას სათავეში საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უდგას.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



### „რუსებმა“ ჩაძირეს ხომალდი, გადაკეტეს გასასვლელი შავ ზღვაში და თხრილებით შემოზღუდეს სამხედრო ნაწილები, ამტკიცებენ უკრაინაში

უკრაინის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან უცნობი შეიარაღებული ადამიანების მიერ ზოგიერთი „მანევრის“ განხორციელების შესახებ. ასე გაჩნდა ცნობა „ალყის“ გაძლიერების შესახებ ზოგიერთ პუნქტში, მაშინ, როდესაც სხვა პუნქტები „რუსმა სამხედროებმა“, როგორც მათ კიევში უწოდებენ, დატოვეს.

### ნიგერიამ მოახდინა ლიბიაში მოამარ კადაფის ვაჟიშვილის ექსტრადიცია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არ სურდათ გადაეცათ ხელისუფლებისთვის



ლიბია ორი წელი იბრძოდა 40 წლის საადის ექსტრადაციისთვის, რომელიც 2011 წელს მისი მამის დამხობის შემდეგ და მეამბოხეების მიერ მის მოკვლამდე ერთი თვით ადრე გაიქცა მეზობელ ქვეყანაში. ნიგერიის ხელისუფლებამ კადაფის ვაჟიშვილს მისცა თავშესაფარი „ჰუმანიტარული მოსაზრებებით“ და უარს აცხადებდნენ ლიბიისთვის მის გადაცემაზე.

### ევროკავშირმა ევროპის ქვეყნების შემდეგ შემოიღო სანქციები იანუკოვიჩის, მისი ოჯახისა და ახლობლების წინააღმდეგ

ვიქტორ იანუკოვიჩი და მისი შვილები, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურისა და უკრაინის უშიშროების საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელები, აგრეთვე სხვები — სულ 18 გვარია — მოხვდნენ ევროკავშირის სანქციების მოქმედებაში, რომლებიც 6 მარტიდან მოქმედებს. ცალკეულ რესტრიქტულ ზომებს ღებულობს დიდი ბრიტანეთი, ადრე ასე მოიქცნენ შვეიცარია და ავსტრია. რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღების შესაძლებლობა უმნიშვნელოდ რჩება.

### უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ უარი უთხრა რუსეთს „მემარჯვენე სექტორის“ ძებნილი ლიდერის გადაცემაზე

სამეთვალყურეო უწყებაში აღნიშნეს, რომ რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობის შემოსვლის შემთხვევაში დმიტრი იაროშის გადაცემის შესახებ, მისი განხილვა მოეწყობა უკრაინის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, იაროშის უკრაინის მოქალაქეობასთან დაკავშირებით მის გადაცემაზე უარს იტყვიან.





**ეს ჩანაწერები უკრაინაში მოღვაწე ქართველი პოეტისა და მთარგმნელის რაულ ჩილაჩავას ფეისბუქის გვერდიდანაა. ამ ბოლო დაძაბულ დღეებში ბატონი რაულის გვერდი განსაკუთრებით საგულისხმოა. გთავაზობთ უკრაინელი ხალხის დიდი მეგობრის რამდენიმე მოსაზრებას.**

# ომის შემთხვევაში პუტინი იმასაც დაკარგავს, რაც ახლა აქვს



„არ ვიცი, ალბათ, ისტორიული სტერეოტიპის გამო, მაგრამ დიდად მეუცხოება, როცა თათარი მშვიდობისკენ მოგვიწოდებს“!

„ერთ-ერთი ინგლისური პუბლიკაციის მიხედვით იანუკოვიჩმა სისხლისღვრა პუტინის ზარის შემდეგ შეწყვიტა. „თქვენ მე ჯარებს გამომიგზავნით? — უკითხავს იანუკოვიჩს. — არა! — მიუგია კრემლის ხაზეინს“.

„სპეციალისტების ვარაუდით, იანუკოვიჩის მმართველობის წლებში სახელმწიფო ხაზინიდან ე.წ. „ოჯახის“ მიერ მოპარულია 50 მლრდ. დოლარი. ზუსტად იმდენი, რამდენიც საჭირო იყო ევრორეფორმებისთვის. აქ არ იგულისხმება ცალკე კორუფციული სქემებით მოპოვებული თანხები და სიმდიდრეები, რომელთა აღრიცხვა შეუძლებელია მიახლოებითაც კი. ასეთი კლეპტომანი და სულით მახინჯი ხელისუფლება თანამედროვე მსოფლიოს არ ჰყოლია. ის, რაც ამ დღეებში ცხადი ხდება უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით, ჩემში ბადებს ასეთ კითხვას: თუ საქართველოში ნაციონალებიც ასე ყვლეფდნენ ქვეყანას, რატომ ახალი ხელისუფლება არ გახსნის მათ სასახლეებს, შავ ბუღალტერიას, არ დაასახელებს მიტაცებულ თანხებს, სიმდიდრეებს, რათა ხალხმა საკუთარი თვალით ნახოს და დარწმუნდეს „ჰუიეს ჰუ!“ თუ საბუთები და მტკიცებები გაქვთ, დადეთ და მიეცით საქმეს იურიდიული მსვლელობა, თორემ ვერ ხედავთ, ჭორიკანებს რომ დაემსგავსეთ? აქვე მინდა, შევნიშნო რომ არც ერთი პარტიის თუ პოლიტიკოსის ფანი არა ვარ, ყველას მიმართ მაქვს პრეტენზია, მაგრამ განსაკუთრებით ვერ ვიტან გაიძვერა, ორპირ, მატყუარა ადამიანებს, რომლებიც ხალხის გულს იაფფასიანი ტრიუკებით იგებენ, იყენებენ მას საკუთარი მიზნებისთვის და მერე კი განზე სტოვებენ. ასე არ უნდა ხდებოდეს“!

„იაცენიუკის თქმით, უკრაინის ხაზინა გაძარცულია მთლიანად. ოფშორში გატანილია 70 მლრდ. დოლარი. ქვეყანას უკვე წამოუყენეს 12 მლრდ. ვალის დაბრუნების პრეტენზია. გატარდება არნახულად არაპოპულარული, მაგრამ აუცილებელი რეფორმები“.

„1991 წელს მძაფრი პოლემიკა მქონდა ერთ უკრაინელ ჟურნალისტთან, რომელმაც ზვიად გამსახურდიას ბრალი დასდო ნაციონალიზმში იმის გამო, რომ მიტინგზე შეკრებილთ მიმართავდა: ქართველო დებო და ძმებოო! არგუმენტად სახელდებოდა ის, რომ საქართველოში ეროვნული უმცირესობებიც ცხოვრობენ, რომლებსაც პრეზიდენტი არად აგდებსო. რა თქმა უნდა, ეს აბსურდი იყო, მაგრამ უკრაინელებს ამის შესაგნებად თითქმის მეოთხედი საუკუნე დასჭირდათ. ახლა მაიდანზე, რადაშიც, ქუჩაშიც გაისმის: „უკრაინელო დებო და ძმებო!“ და არავინ ამას არ აღიქვამს ნაციონალიზმად. ყველა, ვინც დღეს უკრაინაში ცხოვრობს და მხარს უჭერს მის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, უკრაინელია“!

„კლიჩკოს მთავარი გზავნილი პარლამენტში: სამართლიანი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება და კადრების ლუსტრაცია! მისი ფრაქცია არ შევა მომავალ მთავრობაში, მაგრამ, უდავოა, რომ თვით კლიჩკო პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის. მას სჭირდება ლუსტრირებული... ვინ? სწორია: ტიმოშენკო! მოახერხებს კი? ვოტ ვ ჩომ ვოპროს“!

„რაო, ეშტონს და ფულეს ჩემთან შეხვედრა სურთ? ჩაეწერონ მიღებაზე, — უთქვამს იანუკოვიჩის პეტეუდამთავრებულ იუსტიციის მინისტრს! ევროპელებს მაშინ დაღებული პირი თურმე აქამდე ღია აქვთ“!

„ნოვოდვორსკაიას მოკლე რეცეპტი იანკელებისთვის: „მაიდანი, ჩემოდანი, მაგადანი!..“

„ლატვიის ყოფილი პრეზიდენტი, რომელმაც სახელი გაითქვა რუსის არსის დახასიათებით: „ვოდკა, ვობლა, ბალალაიკა“...

„წაეთრიეთ აქედან, თქვენი დასაცავი არაფერი გვჭირს. აღარც თქვენი პასპორტი გვინდა. მალე იმ პასპორტით ალბანეთშიც კი აღარ შეგვიშვებენ, — გაბრაზებით უთხრა რუსის ქალმა ოკუპანტ რუსის ჯარისკაცს ბაღჩისარაიში“.

„ხარკოვის მერი გენადი კერნესი, ჯიბგირი, აფერისტი და გამოუსწორებელი სეპარატისტი, რომელიც ერთი კვირის წინ ხარკოვში სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის გუბერნატორებთან და რეგიონალებთან ერთად მოღალატურ ყრილობას ამზადებდა, ამჟამად მოუწოდებს ყირიმელებს ხელი არ წაუცდეთ და არ დაარღვიონ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, უერთგულონ ქვეყნის კონსტიტუციას და უკრაინელ ხალხს. უფრო ადრე მან განაცხადა, რომ მოსწონს ახალი ხელისუფლება და სიამოვნებით ითანამშრომლებს მასთან. „ხელისუფლების სიძლიერე და სულგრძელობა მაშინ ხდება თვალნათელი, როცა იგი გუშინდელ მტერს (ცხადია, საკუთარ თავს გულისხმობდა) დღევანდელ მეგობრად აქცევს,“ — ცინიკურად დაასკვნა მან“.

„საინტერესო ამბავი: უკრაინული „ტერნოპოლის“ კაპიტანმა მაქსიმ ლუკიანენკომ დიდად გააოცა შავი ზღვის ფლოტის მეთაური ვიცე-ადმირალი ალექსანდრე ვიტკო. მის მოთხოვნაზე, დაუყოვნებლივ დანებებოდა რუსეთის არმიას, ემელიანენკომ მიუგო: „რუსები არ ნებდებიან!“ გაოცებულმა ვიცე- ადმირალმა ჰკითხა: „შენ რუსი ხარ!“ — „დიახ, უკრაინული გვარის მიუხედავად, მე ეროვნებით რუსი ვარ, როგორც ჩემი ეკიპაჟის ბევრი წევრი, მაგრამ ჩვენ უკრაინის წინაშე ფიცი გვაქვს დადებული და მის დარღვევას არ ვაპირებთ!“ — მიუგო ემელიანენკომ.

ისე, კაცმა რომ თქვას, ვიტკოც უკრაინული გვარია.

აი, ასეთი ომია ამჟამად უკრაინაში. ვერ მიხვდები, ვინ ვინაა, ვერც სახით დაადგენ, ვინაა რუსი, ვინ უკრაინელი. მით უფრო მაშინ, როცა შეიარაღებული ადამიანები განმასხვავებელი ნიშნების გარეშე დადიან“.

„უკრაინაში შემოდის ახალი ტერმინი: „პოლიტიკური ტურისტები“. იგულისხმებიან რუსეთიდან შემოყვანილი პროვოკატორები, რომლებიც ადგილობრივი რუსების ნიღბით მოითხოვენ უკრაინიდან გამოყოფას. ამდენად, რევოლუციამ ორი ახალი ცნება გვაჩუქა — „ტიტუშკები“ და „პოლიტიკური ტურისტები“.

„რუსეთმა აგრესიის საბაბად გამოიყენა რადის მიერ ენების შესახებ სკანდალური კანონის გაუქმებაც. ამ კანონით, რომელიც რეგიონალ დეპუტატებს კოლესნიჩენკო-კივალოვს ეკუთვნოდა, რუსულის მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადება იყო გათვალისწინებული. ეს პრობლემა უკრაინისთვის მეტისმეტად მტკივნეულია და მთელი დამოუკიდებლობის მანძილზე სასტიკი პოლემიკის საგნადაა ქცეული. რეალური ენობრივი სიტუაციიდან გამომდინარე, რუსულის მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადება იქნებ მისაღებიც ყოფილიყო, ერთი გარემოება რომ არა: მსგავსი კანონის ამოქმედებისას რუსული ოფიციალურად გახდება პირველი და არა მეორე. თანაც ეს იქნება მოსკოვის მუდმივი იარაღი კიევის წინააღმდეგ. ეჭვი არ მეპარება, რომ კანონი გასაუქმებელი იყო, მაგრამ რადამ ეს ძალიან ცუდ, არახელსაყრელ დროს გააკეთა და ამით პუტინს დამატებითი არგუმენტი მისცა რუსებისა და რუსულენოვანთა „დასაცავად“.

„უკრაინის მიწა, შეიძლება ითქვას, ქართველების სისხლითაა მორწყული. ოდესღაც კიევური გამომცემლობის დაკვეთით მე დავწერე წიგნი საქართველოზე, რომელშიც ცალკე თავი ეძღვნება ჩვენი თანამემამულეების თავგანწირულ ბრძოლას უკრაინის ფრონტებზე (როგორც ცნობილია, აქ ოთხი ფრონტი იყო გაშლილი). მარტო დნეპრის გადალახვისას გამოჩენილი მამაცობისთვის 16 ქართველი გახდა საბჭოთა კავშირის გმირი. ერთადერთი ხის ხიდი კიევის მისადგომებთან, აწ უკვე საქვეყნოდ ცნობილ მეჟიგორიესთან, ტყვიის წვიმებქვეშ გასდო ირაკლი ციციშვილმა, შემდგომში არქიტექტორმა და საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარემ (მე მქონდა მასთან სატელევიზიო ინტერვიუ, შესანიშნავი პიროვნება იყო). სწორედ ამ ხიდზე გაიარა საბჭოთა არტილერიამ, რომელმაც დიდი როლი შეასრულა კიევის განთავისუფლებაში 1943 წლის ნოემბერში“.

„ტურჩინოვმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დანიშნა პარტია „ბატკივშინას“ წევრი, რადის დეპუტატი სერგეი პაშინსკი. ამდენად, საპრეზიდენტო არჩევნების წინ ტიმოშენკოს ადმინისტრაციული რესურსი სრულად დაკომპლექტებულია: პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, მისი ადმინისტრაციის უფროსი, უზენაესი რადის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი მისი პარტიის წევრები არიან! დემოკრატია იმარჯვებს“.

„როცა რუსეთის ჯართან შედარებით უკრაინის ჯარის სისუსტეზე მიუთითებენ (მართებულად!), ავიწყდებათ ის, რომ უკრაინის ტერიტორიაზე იბრძოლებს არა მარტო ოფიციალური არმია, არამედ მთელი ქვეყანა, დიდ-პატარა და მათ შორის იქნება ძალიან ბევრი ეთნიკური რუსი და ეროვნული უმცირესობების (მათი რიცხვი რვა მილიონზე მეტია!), რომელთათვისაც უკრაინა სამშობლოა. ისიც უნდა გავხსოვდეს, რომ უკრაინას ბელორუსთან ერთად აქვს პარტიზანული ბრძოლის უდიდესი გამოცდილება. თუ მეორე მსოფლიო ომში უკრაინელი პარტიზანები ბარიკადების ორივე მხარეს იბრძოდნენ (აქეთ საბჭოთა კოვპაკელები, იქეთ ნაციონალისტი — ოუნ-უპელები), დღეს ბარიკადებს ექნება მხოლოს ერთი მხარე - ეროვნული, უკრაინული. 45-მილიონიან უკრაინაში მინიმუმ 5 მილიონი ან კიდევ უფრო მეტი ადამიანი იარაღს აიღებს ხელში (შეგახსენებთ: უკრაინა იარაღის ექსპორტიორი ქვეყნების ათეულში შედის) და საჭიროების შემთხვევაში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ არავინ გაუხსნის მეორე ფრონტს, როგორც ეს თავის დროზე სტალინს გაუკეთეს რუზველტმა და ჩერჩილმა ფაშიზმთან ომში. სავარაუდოა, რომ მოხდეს პირიქით, თუმცა, წინააღმდეგობის პირველ ეტაპზე ეს პრაქტიკულად გამორიცხულია.

უომრად პუტინს კიდევ აქვს შანსი მიიღოს უკრაინაში გარკვეული დივიდენდები, რაზეც დასავლეთი, ალბათ, თვალს დახუჭავს, მაგრამ ომის შემთხვევაში პუტინი დაკარგავს იმასაც, რაც ახლა აქვს. ამავდროულად, შეუძლებელია არ გვაღელვებდეს კატასტროფული საზოგადოებრივი აზრი თვით რუსეთის ფედერაციაში: ერთ-ერთი იქაური სოციოგამოკითხვით, რუსი მოსახლეობის 52,6% მზადაა უკრაინელების დასახოცად (მოსკოვსა და სანკ-პეტერბურგში ეს სურათი შესაბამისად ასე გამოიყურება - 51 და 47 პროცენტი), 58,6% მხარს უჭერს უკრაინასთან ომის დაწყებას და მხოლოდ 19,6%-ია წინააღმდეგი. მეტსაც გეტყვით და ეს განსაკუთრებით შოკისმომგვრელია - მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს (პროცენტებს არ ასახელებენ, ალბათ, დიდია და თავს იკავებენ) მიაჩნია, რომ რუსეთმა ჯარები უნდა შეიყვანოს იაპონიასა და აშშ-ში (!). უპირველესად კი - ლიტვაში! არც მეტი, არც ნაკლები. ამ ინფორმაციის შემდეგ ყველანაირი პროგნოზი პუტინის და სრულიად რუსეთის მოსალოდნელი ქმედებების შესახებ მიმაჩნია აბსურდად“!

„ლვოვის გუბერნატორად დანიშნეს დაწყებითი კლასების მასწავლებელი ქალი“!

„პუტინის რეიტინგმა რუსეთში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია — მას ამჟამად მხარს უჭერს მოსახლეობის თითქმის 68 პროცენტი“!

„წუხელ რადაში ინციდენტი მოხდა: შევჩენკოს იუბილესადმი მიძღვნილ საპარლამენტო მოსმენაზე კომუნისტი დეპუტატი ქალი, გვარად ლევჩენკო, რუსულ ენაზე გამოვიდა და იუბილარის კრიტიკა დაიწყო. პროვოკატორის გამოსვლა ჰიმნით ჩაახშვეს, თვითონ კი ტრიბუნიდან ჩამოათრიეს“.

„უკრაინის მიწა, შეიძლება ითქვას, ქართველების სისხლითაა მორწყული. ოდესღაც კიევური გამომცემლობის დაკვეთით მე დავწერე წიგნი საქართველოზე, რომელშიც ცალკე თავი ეძღვნება ჩვენი თანამემამულეების თავგანწირულ ბრძოლას უკრაინის ფრონტებზე (როგორც ცნობილია, აქ ოთხი ფრონტი იყო გაშლილი). მარტო დნეპრის გადალახვისას გამოჩენილი მამაცობისთვის 16 ქართველი გახდა საბჭოთა კავშირის გმირი. ერთადერთი ხის ხიდი კიევის მისადგომებთან, აწ უკვე საქვეყნოდ ცნობილ მეჟიგორიესთან, ტყვიის წვიმებქვეშ გასდო ირაკლი ციციშვილმა, შემდგომში არქიტექტორმა და საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარემ (მე მქონდა მასთან სატელევიზიო ინტერვიუ, შესანიშნავი პიროვნება იყო). სწორედ ამ ხიდზე გაიარა საბჭოთა არტილერიამ, რომელმაც დიდი როლი შეასრულა კიევის განთავისუფლებაში 1943 წლის ნოემბერში“.

ამოკრიბა
**თამარ შაიშმელაშვილმა.**

ფეხბურთი



# სტატისტიკას რა ვუთხარი...

**საქართველო-ლიხტენშტეინის ამხანაგური მატჩის კომენტირებისას საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეჟურნალისტმა დავით მინაშვილმა ლოგიკური კითხვა დაუსვა ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს: ვინ უნდა იზრუნოს „ჯვაროსანთათვის“ ღირსეული სპარინგ-მეტოქეების შესარჩევად?**

თვით ამ თემის წამოწევა სიჭინავას და კომპანიის უსუსურმა არგუმენტმა განაპირობა – აქაოდა, საფეხბურთო სამყაროს ბობოლებს საერთაშორისო შეხვედრების განრიგი რამდენიმე წლით გაწერილი აქვთ და ჩვენთვის ვინ შეიტანს კორექტივებსო. მათ მოკრძალებით ვუპასუხებ: თქვენ ანგარიშგასაწევი გუნდი ჩამოაყალიბეთ და, ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, ბუზი ბაღდადიდან მოვა.

ისე კი, ფიფას რეიტინგში ქულების გაზრდისა და სტატისტიკის გასაუმჯობესებლად, იცოცხლეთ, სტუმრებზე უკეთესი „ფუნთუშა“ ძნელი მოსაძებნია. საინტერესოა, როცა მკვდარი მკვდარს აეკიდება, ამით გამარჯვებულს რა ემატება?

**საქართველო – ლიხტენშტეინი 2:0 (1:0)**

**გოლები:** ჭანტურია, ანანიძე (პენალტით).

**დანარჩენი შედეგები:** ესპანეთი – იტალია 1:0, სამხრეთ აფრიკა – ბრაზილია 0:5, გერმანია – ჩილე 1:0, რუმინეთი – არგენტინა 0:0, ინგლისი – დანია 1:0, ავსტრია – ურუგვაი 0:0, საფრანგეთი – ჰოლანდია 2:0, ბელგია – კოტ დივუარი 2:2, უკრაინა – აშშ 2:0, შვეიცარია – ხორვატეთი 2:2. რუსეთი – სომხეთი 2:0.

* * *

**როცა ეროვნული ნაკრები „კოჭლობს“, იმედის თვალს გულშემატკივარი მის უახლოეს რეზერვს მიაპყრობს ხოლმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არც ახალგაზრდულ გუნდში გვქონია ბედი.**

სხვაგვარად ძნელია შეფასდეს ალექსანდრე ჩივაძის შეგირდთა მიერ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის ბოლოსწინა ტურში ლუქსემბურგელ თანატოლებთან ნაცოდვილარი ზავი – 1:1 (ჯილაური).

სხვათა შორის, აღნიშნულ თამაშს სტალინის მშობლიურმა ქალაქმა გორმა უმასპინძლა, თანაც დიდი ბელადის გარდაცვალების დღეს. იქნებ ამ ფაქტორმა ბიჭებს დამატებითი ფსიქოლოგიური ტვირთი აჰკიდა?! ეჰ, ნეტავ ასე იყოს.

**გია პლატონიშვილი**

ეს საინტერესოა

# საქართველოს რაგბის კავშირის განცხადება

**საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 თებერვლის №193 დადგენილებით, „საქართველოში რაგბის განვითარების ფინანსური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მთავრობის 2011 წლის 21 დეკემბრის № 488 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები, რომლითაც 2014-2016 წლების ფინანსური ნაწილი განისაზღვრა 33 673 968 ლარით.**

იმის გამო, რომ გულშემატკივრებში ამ ცნობამ გამოიწვია გარკვეული გაუგებრობა (საიდან გაჩნდა ეს თანხა, როგორ მოხდება მისი განაწილება, რას მოხმარდება და ა.შ.), რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გააცნოს მათ ამ პროგრამის დეტალები, რათა ეს ინფორმაცია გახდეს საჯარო და დააკმაყოფილოს ფართო საზოგადოების ინტერესი.

რაგბის განვითარების მხარდაჭერის პირველი სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა 2008 წლის აპრილში. პროგრამამ მოიცვა 2008-2012 წლები. პროგრამით 2008-2012 წლებში რაგბის განვითარებისთვის გამოიყო 17 828 689 ლარი, საიდანაც 6 000 000 ლარი იყო უმაღლესი ლიგის გუნდების დახმარება (საბაზო და საპრიზო დაფინანსება). წლების მიხედვით თანხა შემდეგნაირად განაწილდა:

**2008 წელი** – 2 710 000 ლარი (მათ შორის 320 000 ლარი კლუბების საბაზო დაფინანსება, 2 390 000 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები).

**2009 წელი** – 4 335 379 (მათ შორის 1 500 000 ლარი კლუბების საბაზო და საპრიზო თანხა, 2 835 379 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები).

**2010 წელი** – 4 537 710 (მათ შორის 1 500 000 ლარი კლუბების საბაზო და საპრიზო თანხა, 3 037 710 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები).



**2011 წელი – 5 065 600** (მათ შორის 1 500 000 ლარი კლუბების საბაზო და საპრიზო თანხა, 3 565 600 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები).

**2012 წელი** – 1 180 000 ლარი (კლუბების საპრიზო თანხა).

**სულ – 17 828 689 ლარი (მათ შორის 6 000 000 ლარი კლუბების დახმარება).**

რაგბის განვითარების მხარდაჭერის მეორე სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა 2012 წლის თებერვალში. პროგრამამ მოიცვა 2012-2016 წლები. ფინანსური ნაწილი განისაზღვრა 20 500 000 ლარით, საიდანაც 6 000 000 ლარი გამოიყო უმაღლესი ლიგის 10 გუნდის დახმარებისათვის (საბაზო და საპრიზო დაფინანსება). წლების მიხედვით თანხა შემდეგნაირად განაწილდა:

**2012 წელი** – 4 000 000 ლარი (მათ შორის 1 000 000 ლარი კლუბების საბაზო დაფინანსება, 3 000 000 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები).

**2013 წელი** – 4 700 000 ლარი (მათ შორის 1 500 000 ლარი კლუბების საბაზო და საპრიზო დაფინანსება, 3 200 000 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები).

**2014 წელი** – 4 800 000 ლარი (მათ შორის 1 500 000 ლარი კლუბების საბაზო და საპრიზო დაფინანსება, 3 300 000 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები).

**2015 წელი** – 6 500 000 ლარი (მათ შორის 1 500 000 ლარი კლუბების საბაზო და საპრიზო დაფინანსება, 5 000 000 ლარი სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები).

**2016 წელი** – 500 000 ლარი (კლუბების საპრიზო დაფინანსება).

**სულ – 20 500 000 ლარი (მათ შორის 6 000 000 ლარი კლუბების დახმარება).**

**2013 წელს** რაგბის კავშირს უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების დახმარებისათვის დამატებით გამოეყო 3 300 000 ლარი – 3 000 000 უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის, ხოლო 300 000 ლარი – 1 ლიგის გუნდებისათვის.

**2014 წელს** საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2012 წლის რაგბის განვითარების ფინანსური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში შევიდა ცვლილებები, რომლითაც 2014-2016 წლებში პროგრამის ფინანსური ნაწილი განისაზღვრა 33 673 968 ლარით, საიდანაც უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების დახმარებისათვის განისაზღვრა 14 700 000 ლარი (13 500 000 უმაღლესი ლიგა, 1 200 000 პირველი ლიგა), ხოლო სანაკრებო, შიდა რაგბიზე და განვითარების სხვა პროგრამებზე – 18 973 968 ლარი. წლების მიხედვით თანხა შემდეგნაირად განაწილდა:

**2014 წელი** – 10 500 000 ლარი (მათ შორის 4 800 000 ლარი უმაღლესი და პირველი ლიგის საბაზო და საპრიზო დახმარება, 5 700 000 სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები).

**2015 წელი** – 12 048 684 ლარი (მათ შორის 4 950 000 ლარი უმაღლესი და პირველი ლიგის საბაზო და საპრიზო დახმარება, 7 098 684 სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები).

**2016 წელი** – 11 125 284 ლარი (მათ შორის 4 950 000 ლარი უმაღლესი და პირველი ლიგის საბაზო და საპრიზო დახმარება, 6 175 284 სანაკრებო რაგბი, შიდა რაგბი და განვითარების სხვა პროგრამები).

**სულ – 33 673 968 ლარი.**

**მანუჩარ გიორგაძე**

ოლიმპიადის ექო

# „ოქროს გოგონები“

**ციგურებით ფიგურული სრიალი სპორტის ის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ძალიან ახლოს დგას ჭეშმარიტ ხელოვნებასთან, ცეკვასთან. ამ მხრივ სოჭის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი და ქალებში ჩემპიონის საპატიო წოდება ახალგაზრდა ადელინა სოტნიკოვამ მოიპოვა, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე... გუნდურ შეჯიბრში ადგილიც კი არ ანდეს! ამ შემთხვევაში, რომ იტყვიან, სამართალმა პური ჭამა, თუმცა კი ობიექტურობა მოითხოვს ისიც ვთქვათ, რომ ციგურებით ფიგურულ მოსრიალეთა გუნდში ქალების ერთეულთა თანრიგში გამოსვლაზე ადელინა სოტნიკოვას ღირსეული კონკურენტი იულია ლიპნიცკაია ჰყავდა, რომელიც ასევე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.**

**ადელინა**

„ – ეს ყველაფერი ჩემი დისთვისაა“ – იტყვის შემდეგ 17 წლის ადელინა სოტნიკოვა, რომელსაც ფიგურულ სრიალში ქალთა ერთეულთა თანრიგში ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ უამრავ საჩუქარს მიართმევენ. ადელინას უმცროსი და დაბადებიდან სნეულია, რომლის ოპერაციებს, წამლებს, მოვლას უამრავი ფული სჭირდება. ფული, რომელსაც ადელინა ყინულზე შოულობს, მედიკოსების წარდგენილი აუარება ანგარიშების გადახდაზე იხარჯება. არადა, ქალიშვილი თავის გამოსვლებში გასამრჯელოს 12 წლის ასაკიდან იღებს – ეს მას შემდეგ დაიწყო, რაც მან რუსეთის ჩემპიონატი მოიგო. მისი პირველი ხელფასი 10 ათასი რუბლი (დაახლოებით 300 დოლარი – **ნ. ა.**) იყო. სკოლაში გაუკვირდათ კიდეც, ინტერნეტში ეს ახალი ამბავი რომ წაიკითხეს: „სოტნიკოვა ჩემპიონია“, რადგან ადელინას თავის სპორტულ წარმატებებზე მასწავლებლებისთვის არაფერი უთქვამს.

„როცა 12 წლის ასაკში ქვეყნის ჩემპიონატში გავიმარჯვე, ისევე, როგორც ოლიმპიადაზე, საკუთარი ბედნიერებისა დიდ ხანს არ მჯეროდა. ისე კი, საკუთარ გემოზე ვისრიალე, ყველა ელემენტი რომ შევასრულე და ვიფიქრე, იქნებ რომელიმე ოლიმპიური ჯილდო მეც მერგოს-თქო. მერე კი შეფასებები რომ დავინახე... აუჰ, სულაც ჩემპიონი გავხდი! მაგარი იყო!“

როცა ღამ-ღამობით ადელინას ყინულზე დაცემები ესიზმრებოდა, როცა გაკვეთილებიდან წამოსული ვარჯიშზე დროულად ვერ ასწრებდა, როცა რაღაცეები არ გამოსდიოდა, დედამისი ოლგა შვილს ფიგურული სრიალისთვის თავის დანებებას სთავაზობდა: რაც უფრო ადრე ეცდები სპორტისთვის თავის დანებებას, მით უფრო ადვილად შეძლებ ამის გაკეთებას, – ეუბნებოდა დედა, რომელიც ახალგაზრდობაში ტანვარჯიშს მისდევდა და, ამდენად, კარგად იცოდა, შვილს რასაც ურჩევდა. თუმცა კი ადელინა ამ მხრივ შეუვალი იყო...

„ელენა ბუიანოვა რვა წლიდან მწვრთნის, იგი ჩემთვის დიდი ხანია დედასავითაა. უდიდესი მადლობელი ვარ ტატიანა ტარასოვასი, ქორეოგრაფ პეტრე ჩერნიშევისა, ირინა ტაგაევასი. მათი დახმარების წყალობა განუზომლად დიდია, ისინი ერთობლივად ცდილობდნენ სიჩქარეც მქონოდა და ემოციებიც, თითის ყოველ მოძრაობას მიხვეწდნენ...“



ევროპის იანვრის ჩემპიონატზე ადელინა სოტნიკოვას წილად „ვერცხლი“ ხვდა, „ოქრო“ კი იულია ლიპნიცკაიას ერგო. მერე კი ადელინამ სოჭში ოქროს მედალი იმ გუნდის შემადგენლობაში დაიმსახურა, სადაც რამდენიმე დღით ადრე... მისთვის ადგილი ვერ გამოიძებნა(?!).

„ბოლო წუთამდე არ ვიცოდი, მიიღებდა თუ არა ადელინა მონაწილეობას გუნდურ შეჯიბრებაში, – ამბობს ელენა ბუიანოვა. – ვნერვიულობდით, ველოდებოდით, მერე კი უცებ „არა“ გამოგვიცხადეს. ძალიან საწყენი იყო, გულდასაწყვეტი, უაღრესად მოულოდნელი“.

„ისე კი, ვინ იცის, იქნებ ასე სჯობდა კიდეც. სპორტული სიბრაზე ზოგჯერ კარგი რამაა“ – ამბობს ახლა ადელინა სოტნიკოვა,.

**იულია**

ფიგურისტთა პირადი ტურნირის დროს იულია ლიპნიცკაია წაიქცა, მეხუთე ადგილი დაიკავა და თქვა: „ბოლომდე ვიბრძოლე, მაგრამ ცოტა არ მეყო. უბრალოდ, გადავიღალე, კონცენტრაცია დავკარგე...“ მეტის თქმა ამ გოგონამ ვერ შეძლო, თუმცა კი მისი ემოციები სავსებით გასაგებია: ორი ოლიმპიური კვირის განმავლობაში მან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც მოასწრო ასვლა და მარცხის სიმწარეც იწვნია. მის მაგიერ მისივე მწვრთნელი ეთერ თუთბერიძე ლაპარაკობს: „ევროპის ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებს შორის შუალედში შინ მშვიდად მომზადებას ვაპირებდით, მაგრამ ხელი ჟურნალისტებმა შეგვიშალეს. სატირალი რომ არ იყოს, ძალიან სასაცილო იყო ბავშვის საციგურაო მოედნიდან გამოპარება, გასახდელში მოსასმენი მოწყობილობების აღმოჩენა. ვაიჟურნალისტებმა რაღაც სიბინძურეების გამოკვლევები დაიწყეს: ვინაა იულიას მამა, სადაა ამჟამად? ვერ გამიგია, რა საჭიროა ამის ქექვა? რა საჭიროა ათასი ჭორის გავრცელება? მაგრამ, როგორც გნებავთ იყოს, ოლიმპიადაზე ზოგიერთი გოგონა და ქალიშვილი მესამედ გამოდიოდა, ჩვენთვის კი ეს პირველი თამაშები იყო, ამიტომ მისი გაკვეთილებიდან სათანადო დასკვნებს გამოვიტანთ“.

„ისე, იცით, კარგია, რომ ჩვენთან ასეთი კონკურენციაა, რომ გვერდით მუდამ გვყავს ისეთი ვინმე, ვინც მოდუნების შესაძლებლობას არ გვაძლევს “, – ელიმება ორივე ქალიშვილს, ორ ოლიმპიურ ჩემპიონს.

„მინდა იცოდეთ, რომ ისინი არა იმდენად ერთმანეთს, რამდენადაც თავის ნერვებს ებრძვიან, – ამბობს ელენა ბუიანოვა. – ისინი მხოლოდ გარეგნულად არიან პატარა გოგონები, სინამდვილეში კი სულიერად ორივე ბევრ მამაკაცზე გაცილებით ძლიერია“.

**ნინო ალექსანდრია**

ონლაინბაზა

# OPENDATA.GE და მთავრობის ანგარიშვალდებულება

## ხელისუფლების საქმიანობას საზოგადოება გააკონტროლებს



**რეზონანსული და სკანდალური ინფორმაციებით ცნობილი პორტალი opendata.ge კიდევ უფრო დაიხვეწა და უკვე განახლებული სახით მიეწოდება მომხმარებელს. ეს არის ყველაზე მოცულობითი ონლაინ რესურსბაზა საქართველოში, რომელიც აბსოლუტურად ყველა საჯარო ინფორმაციას ხდის ხელმისაწვდომს. ძალიან მარტივი, თანამედროვე და მეგობრული ნავიგაციის საშუალებით opendata.ge მოსახლეობას მიაწვდის ინფორმაციას, თუ როგორ მუშაობენ საჯარო დაწესებულებები, როგორ ხარჯავენ სახელმწიფო ბიუჯეტს, რა პროგრამებს ახორციელებენ. აქ მოიძებნება ინფორმაცია თანამდებობის პირთა საქმიანობისა და შემოსავლების შესახებ.**

პორტალი თავდაპირველად 2010 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა შექმნა ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით. ეს იყო პირველი ონლაინ პორტალი, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევდა, თვალი ედევნებინა საჯარო ინფორმაციის გავრცელებისა და განვითარების ტენდენციებისთვის. შექმნის დღიდან პორტალმა გააერთიანა 110 ათასზე მეტი საჯარო მოთხოვნა, ხოლო ვიზიტორთა რაოდენობამ 100 ათას გადააჭარბა. აქ გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ხშირად გამხდარა საზოგადოებისა და პოლიტიკოსების განხილვის თემა. მაგალითად, პორტალზე გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ პრემიების გაცემის წესის შესახებ, აბსოლუტურად შეცვალა პოლიტიკური თანამდებობის პირთა ანაზღაურებისა და პრემირების წესი.

ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორის **ქეთი ხუციშვილის** თქმით, **„ამ პორტალმა გაზარდა მთავრობის ანგარიშვალდებულება და ამიტომაც გაჩნდა იდეა, კიდევ უფრო დახვეწილიყო ბაზა. ჩვენი ინიციატივით opendata.ge ამიერიდან გარდაიქმნა საჯარო ინფორმაციაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ერთიან პორტალად და იგი გააერთიანებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს", „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას", „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოსა" და ასოციაცია „მწვავე ალტერნატივას" მიერ მოთხოვნილ და მოპოვებულ საჯარო ინფორმაციას".**

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი **რუსუდან მიხელაძე** ამბობს, რომ საჯარო ინფორმაციების ღიაობას უზრუნველყოფს იუსტიციის სამინისტროს განვითარების მონაცემთა გაცვლის სააგენტო. **ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია ასეთი ტიპის მონაცემების ბაზის არსებობა. მთავრობა იძულებულია, იყოს გამჭვირვალე. კარგია, ამის პოპულარიზაციას შევუწყოთ ხელი. რაც მეტი ადამიანი გაიგებს** opendata.ge-**ს შესახებ, მით მეტად მოხდება ხელისუფლების პასუხისმგებლობის გაზრდა",** — აღნიშნავს ის.

**ნია ფიფია**

მანანა ოსაძე, ელიზბარ ლომინაძე, თემურ კალანდაძე, ვახტანგ კიკნაძე, ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, თენგიზ კალანდაძე, პეტრე ბერაია, ლაური მანაგაძე, კოტე ყიფიანი, გურამ ყურაშვილი მწუხარებით თანაუგრძნობენ ვანო ყულიჯანაშვილს ძმის

**კოტე ყულიჯანაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

შვილები ელისო, მედეა, ოთარი, სიძეები თემურ კალანდაძე, თამაზ შავლაყაძე, რძალი ელენე მირზიაშვილი, შვილიშვილები დავითი, ლევანი, გიორგი, ნინო, ნინო, სალომე, მარიამი, დისწულები ნორა, ალისა, გია მამრიკიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნორა თავხელიძე-მარდალეიშვილი**

პანაშვიდი 7, 8 III, 17 სთ. გამოსვენება 9 III, 14 სთ. მისამართი: ბროლოსანის ქ. №31.

ინფორმაცია

### კახეთსა და ქვემო ქართლში ჩასახლდებიან

**მაღალმთიან აჭარაში მცხოვრებ, სტიქიის შედეგად დაზარალებულებს კახეთსა და ქვემო ქართლში დაასახლებენ. ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის დღევანდელი სხდომის შემდეგ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა დავით დარახველიძემ განუცხადა.**

**— მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე მოიწონა საგრანტო ხელშეკრულება შვეიცარიის განვითარების სააგენტოსთან, რომლის თანახმადაც, 700 ათასი შვეიცარული ფრანკი დაიხარჯება მაღალმთიანი აჭარის, ხულოს სოფელ პანტიანიდან სტიქიით დაზარალებული 16 ოჯახის კახეთსა და ქვემო ქართლში განსახლებისთვის, ასევე, სტიქიისა და მეწყერის შედეგად დაზარალებული მესტიის რაიონის მოსახლეობის განსახლებისთვის, — განაცხადა დარახველიძემ.**

**გარდა ამისა, მინისტრის განმარტებით, მთავრობის დღევანდელი გადაწყვეტილებით, ეკონომიკის სამინისტრომ თბილისში, ფეიქრების ქუჩაზე მდებარე რამდენიმე შენობა გამოისყიდა, სადაც დევნილები არიან შესახლებული. მინისტრის თქმით, 21 ოჯახს აღნიშნული ფართობები სულ მალე საკუთრებაში გადაეცემათ.**

**ინტერპრესი**

ალიან-ჩალიანი

### კონკურსი სტუდენტებისათვის

**„გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ" საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის გამოაცხადა კონკურსი „წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება".**

როგორც „ინტერპრესნიუსს" კომპანიიდან აცნობეს, კონკურსის თემები და პროცედურები სტუდენტებს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" წარმომადგენლებმა და ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა არჩილ ფრანგიშვილმა გააცნეს.

კომპანიის სახელობის სტიპენდია „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ" წყალმომარაგებისა და წყალარინების დარგის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაარსდა. სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსი უკვე მესამედ ტარდება.

სამშენებლო ფაკულტეტის წყლის რესურსების გამოყენების, დაცვის და წყალმომარაგების მიმართულების სტუდენტები, რომლებსაც თეორიული კურსი გავლილი აქვთ, შეისწავლიან „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მიერ, დასამუშავებელ წყალსადენის სისტემებს დასახლებულ ადგილებში და ერთი თვის ვადაში დაამუშავებენ სქემის დონეზე მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხებს. გამარჯვებულს გამოავლენს დარგის სპეციალისტების მიერ დაკომპლექტებული ჟიური. კონკურსში გამარჯვებული სტუდენტის დაჯილდოების ღონისძიება 22 მარტს გაიმართება.

### საჯარო რეესტრის თანამშრომელი დააკავეს

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, ნოდარ გოგოლაძე დააკავეს.**

როგორც „ინტერპრესნიუსს" ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ნოდარ გოგოლაძემ, როდესაც ის მუშაობდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არქივირების სექტორის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე და ასევე, ასრულებდა რეგისტრატორის მოვალეობას, 2011-2013 წლებში, გაყალბებული მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, გამორჩენის მიღების მიზნით, მოქალაქეებს — მიხეილ ხუციშვილს, ანა შერმადინსა და გიორგი ხუციშვილს, საკუთრებაში დაურეგისტრირა დუშეთის რაიონში მდებარე ვითომდა მიწის რეფორმით მიღებული, საერთო ჯამში, 5 124 კვ.მ. ფართობის მქონე, 121 100 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და უძრავი ქონება.

### თბილისში სამგზავრო მატარებელი შუახნის მამაკაცს დაეჯახა

**თბილისში, ფეიქრების ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამგზავრო მატარებელი შუახნის მამაკაცს დაეჯახა. არსებული ინფორმაციით, მამაკაცი, ლიანდაგებთან იდგა და ახლობელს აცილებდა, რა დროსაც მატარებელი დაეჯახა. მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.**

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები, თუმცა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

სამართალდამცველებმა საგამოძიებო მოქმედებები უკვე ჩაატარეს.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

გაითვალისწინეთ!

# აქტიური პროცესები მარტში

**მარტში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 1-3, 8-11, 16, 19-21, 24, 27-31 რიცხვებში. ამ დღეებში მოსალოდნელია ყველა სახის ავარიულობის გაზრდა.**

**8 — მთვარის პირველი მეოთხედი.** მზარდ მთვარეზე იზრდება ენერგეტიკა, ძლიერდება აქტივობა— შეიძლება ხელი მოვკიდოთ ახალ საქმეებს. დაავადებათა მიზეზი შეიძლება გახდეს ნერვული სისტემის გადაღლა, სტრესები, ძილისა და დასვენების რეჟიმის დარღვევა.

**10 — მთვარე-იუპიტერის შეერთება.** მოსალოდნელია პრობლემები ღვიძლთან და ნაღვლის ბუშტთან, სარძევე ჯირკვლებთან. სასურველია, უარი ვთქვათ მძიმე და ცხიმიან საკვებზე და ალკოჰოლზე, დავიცვათ დიეტა.

**16 — სავსე მთვარე.** რეკომენდებულია, დავიცვათ ზომიერება კვებასა და სპირტიანი სასმელების მოხმარებაში, ფხიზლად შევაფასოთ ჩვენი შესაძლებლობები, ვერიდოთ კონფლიქტებს.

**19 — მთვარე-მარსის შეერთება.** სტრესებმა შეიძლება მიგვიყვანოს გასტრიტთან ან წყლულოვან დაავადებასთან. რეკომენდებულია, ვაკონტროლოთ ჩვენი ემოციები და ქცევა, ვერიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებს.

**21 — მთვარე-სატურნის შეერთება.** შეიძლება შეინიშნებოდეს დეპრესია, თავშეუკავებლობა, აგრესიულობა, შიშის შემოტევები, თვითკონტროლის დაკარგვა. რეკომენდებულია, დავიწყოთ დიეტა, შევზღუდოთ ალკოჰოლის მოხმარება, ვერიდოთ გაციებას, არასასურველი დღეა ახალი საქმეების დაწყებისთვის. შესაძლებელია პრობლემები ხელმძღვანელობასთან ან ოჯახის უფროს წევრებთან.

**24 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, მთვარე-პლუტონის შეერთება, მთვარის დაძაბული ასპექტები.** შესაძლებელია სისუსტე, განწყობილების გაუარესება. არასასურველია დიდი ფიზიკური დატვირთვები და გაციება. სასარგებლოა გასეირნება. ხელსაყრელი დროა წამოწყებული საქმეების დამთავრებისთვის.



**27 — მთვარე-ვენერის შეერთება, მთვარის პერიგეი.** არ არის გამორიცხული ტკივილები სახსრებსა და ფეხების ვენებში, კვებითი მოწამვლა. რეკომენდებულია, ვერიდოთ სტრესებს, ხანგრძლივ სიარულს ან ფეხზე დგომას, ხანგრძლივ კითხვას, სატელევიზიო გადაცემების ყურებას ან კომპიუტერთან მუშაობას. კარგია, ეს დღე გამოვიყენოთ შემოქმედებისთვის, ინტელექტუალური საქმიანობისთვის, საქმე ვიქონიოთ ხელოვნებასთან, დავისვენოთ, შევასრულოთ ფიზიკური ვარჯიშები.

**28 — მთვარე-ნეპტუნის შეერთება.** აუცილებელია, გავუფრთხილდეთ ნერვულ სისტემას, სმენის ორგანოებს, ფეხებს. კარგი დროა წამოწყებული საქმეების დასამთავრებლად, შემოქმედებისა და ქველმოქმედებისთვის.

**29 — მთვარე-მერკურის შეერთება.** სასარგებლოა მსუბუქი გასეირნება, წყლის პროცედურები, ტერფების მასაჟი, სამკურნალო გიმნასტიკა, ფრთხილად იყავით ტრანსპორტში მოგზაურობის დროს, ერიდეთ ტრავმატიზმს, გააკონტროლეთ ბავშვების ქცევა.

**30 — სავსე მთვარე.** გაღიზიანება, თავშეუკავებლობა, კონფლიქტურობა. აუცილებელია, დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, ვერიდოთ სტრესულ სიტუაციებსა და აღმგზნებ საშუალებებს.

**31 — მთვარე-ურანის შეერთება, მთვარის დაძაბული ასპექტები.** მოსალოდნელია ნერვული დაავადებანი, თავის ტკივილები და უძილობა. ერიდეთ ტრავმატიზმს, დაცემას, ერიდეთ დარტყმებს თავში, უარი თქვით აღმგზნებ საშუალებებზე, ცხიმიან საკვებზე, ყავასა და შოკოლადზე. ხელსაყრელი დროა გასეირნებისთვის, ფიზიკური ვარჯიშებისთვის.

## დაიჯესტი

### კარგია სამხრეთში ცხოვრება!..



**დანაშაულის სიმცირე, საცხოვრებლით უზრუნველყოფის მაღალი დონე, სამომხმარებლო კალათის „ბარაქიანობა“ — ყველა ეს ნიშანი კრასნოდარს რუსეთში ცხოვრების დონის მიხედვით ას ქალაქს შორის გამორჩეულს ხდის.**

კრასნოდარის გარდა, ლიდერთა სამეულში ასევე არიან **სურგუტი** და **ეკატერინბურგი.** მთავარი მახასიალთებლები, რომლებსაც სპეციალისტები ყურადღებას აქცევდნენ, არის საცხოვრისის ხელმისაწვდომობა, კომუნალური გადასახადები, სატრანსპორტო ვითარება, დანაშაულის დონე და მოსახლეობის მყიდველუნარიანობა.

### საღამო ტყუილებისა

**ჰარვარდის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა ერთობ საგულისხმო გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის შედეგების გაანალიზების შემდეგ განაცხადეს, რომ დილაობით ადამიანები უფრო სიმართლეს ლაპარაკობენ, საღამოობით კი ტყუილის თქმა უადვილდებათ.**

ოც მოხალისეს კითხვებზე პასუხი უნდა გაეცა, თანაც თითო ტყუილზე მათ 10 დოლარს უხდიდნენ. ფინანსური წახალისების მიუხედავად, დილის 8-დან 12 საათამდე ექსპერიმენტის მონაწილენი უფრო მეტად ცდილობდნენ სიმართლე ეპასუხათ, შუადღის შემდეგ კი გამოკითხულთა სამი მეოთხედი ტყუილების თქმას იწყებდა. თანაც, საინტერესო ისაა, რომ ტყუილების რიცხვი საღამოსკენ უფრო მატულობდა.

შედეგი, თავისთავად, საგულისხმოა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ამ ფენომენს მეცნიერებმა ახსნა ჯერჯერობით ვერ მოუძებნეს.

### ვაიმე, ამას ვის ვხედავ!



**თუკი სოციოლოგიურ გამოკითხვებს ვენდობით და არა ექსპერიმენტებს, აღმოჩნდება, რომ ქალები მამაკაცებზე ნაკლებად მატყუარები არიან.**

კერძოდ, ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ 60 წლის თანაცხოვრების განმავლობაში, ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაახლოებით 88 ათასჯერ ატყუებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ერთმანეთთან წელიწადში, საშუალოდ, 1488-ჯერ იტყუებიან, რაც ყოველდღიურად, დაახლოებით, ოთხჯერ მოტყუებას უდრის. თუმცა ეს, როგორც აღვნიშნეთ, საშუალო მაჩვენებელია: მამაკაცები კი დღეში 5-ჯერ იტყუებიან, ქალები — 3-ჯერ.

ყველაზე გავრცელებული ტყუილი დაახლოებით ასე ჟღერს: „კარგად ვარ!“, რომელსაც პასუხობენ კითხვაზე „როგორა ხარ?“, რომელიც, თავის მხრივ, ასევე ტყუილის შემცველია, რადგან არაგულწრფელია. საქმე ისაა, რომ, სამწუხაროდ, საკმაოდ იშვიათია, რომ უმრავლესობას საქმეები მართლაც „კარგად“ მისდიოდეს, ისევე როგორც ძალიან ცოტაა ისეთი კაცი, ვისაც ეს ამბავი მართლაც აინტერესებდეს.

ანალოგიური ვითარებაა რეიტინგის მეორე გამოთქმის მხრივაც — „მიხარია შენი ნახვა!“ სინამდვილეში ერთმანეთის ნახვით გულწრფელად გახარებული ცოტა ვინმე თუა. უკეთეს შემთხვევაში შეხვედრას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ბევრს კი კონკრეტული კაცის დანახვა უბრალოდ არც კი სიამოვნებს.

—„მსუბუქი“ ტყუილი — თავისებური სიტუაციაა, რომლის გარეშე ადამიანებს ურთიერთობა გაუჭირდებოდათ, — ამბობს ფსიქოლოგი ტერი ჯინსი. — ისინი კი, ვინც ნაცნობებს მოურიდებლად მიახლის ხოლმე ყველაფერს, რასაც ფიქრობს, საზოგადოებაში დიდად არ უყვართ.

### თევზის მოყვარულთა უპირატესობა



**ხორცის დამუშავებული პროდუქტები, მათ შორის, ბეკონი, სოსისი, ლორი, ძეხვი და სხვ., თურმე, სპერმატოზოიდების ხარისხს აქვეითებს.**

ექსპერიმენტების იმ მონაწილეებს, რომლებსაც „ცოცხალ ხორცს“ ლორი და სოსისი ურჩევნიათ, სხვებთან შედარებით ნორმალური სპერმატოზოიდების რიცხვი 30 პროცენტით ნაკლები იყო. მამობის ყველაზე მეტი შანსი კი თევზის მოყვარულებს დაუდგინდათ.

### მკურნალი ძილი

**ამერიკის შეერთებული შტატების როჩოესტერის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ძილი თავის ტვინს ტოქსინებისგან იცავს, რაშიც ძილის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს.**

თაგვებზე დაყენებული ცდების დროს გაირკვა, რომ ძილის დროს ორგანიზმიდან მომწამლავი ნივთიერებები გამოდის, კერძოდ ისინი, რომელთა დაგროვებას ალცჰეიმერის ავადმყოფობისა და სხვა სნეულებათა გამოწვევა შეუძლია.

## ჩვენი პრესდაიჯესტი



### „ციხე ორნაირად იმართება — თუ მას ადმინისტრაცია ვერ მართავს, მაშინ მართავს კრიმინალი“

— ამბობს „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე, რომელიც ეხმაურება გეგუთის №14 დაწესებულებაში მომხდარ ფაქტს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინფორმაციით, 4 მარტს, დაახლოებით ღამის 2:30 საათზე გეგუთის №14 დაწესებულებაში, ექვსადგილიან საკანში, სადაც ხუთი მსჯავრდებული იმყოფებოდა, პატიმრებს შორის დაპირისპირება მოხდა, რაც ერთ-ერთი მსჯავრდებულის გარდაცვალებით დასრულდა. სამინისტროს ინფორმაციით, გარდაცვლილ პატიმარს მრავლობითი დაზიანებები აქვს მიღებული, მათ შორის თავისა და ყელის არეში.

„პრემიერი“

### უსუფაშვილი უკვე თბილისში მუშაობს, „ნაცმოძრაობა“ გადმოსვლაზე უარს ამბობს

**პარლამენტის** თავმჯდომარე უკვე თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში მუშაობს. მაქსიმუმ ერთ თვეში კი ქუთაისში მხოლოდ სესიები გაიმართება და ისიც იმიტომ, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ვერ ხერხდება. საპარლამენტო უმცირესობა კი ამბობს, რომ თბილისის პარლამენტში შესვლას არ აპირებს. პარლამენტის ისევ თბილისში გადმოტანის საკითხი იმის გამო ვერ გვარდება, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისთვის დღევანდელ მმართველ ძალას პარლამენტში საჭირო რაოდენობის ხმები არ გააჩნია, სააკაშვილის გუნდი კი მხარდაჭერაზე უარს ამბობს.

„რეზონანსი“

### ფსიქოტროპული პრეპარატები ისევ იყიდება...

**როგორც** ანტიმონოპოლიური კავშირის ხელმძღვანელი გიორგი ბურჯანაძე ყვება, რეიდი ჩაუტარებიათ აფთიაქებში. „ჩვენ თან გვახლდნენ ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები და აღმოჩნდა, რომ აფთიაქებში კვლავ ხდება ურეცეპტო ფსიქოტროპული პრეპარატების გაყიდვა. ჩვენ ისეთი აფთიაქები ავირჩიეთ, რომლებიც უკვე დაჯარიმებული იყვნენ ამ პრეპარატების გაყიდვის გამო. მაგალითად, საბურთალოზე, ალმასიანის ქუჩაზე მდებარე აფთიაქში უპრობლემოდ ვიყიდეთ პრეპარატი „გრიმოდინი“, რომელიც ახლა აკრძალულია... ასეთი „თავისუფლებაა“ სხვა აფთიაქებშიც, ჰყავთ თავიანთი კლიენტები და „მუშაობენ“...

„ალია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

## ცინცხალი ანეკდოტები

**ერთხელ** თავმა, ხელებმა და უკანალმა გადაწყვიტეს თავიანთთვის ბოსის არჩევა.

— მე უნდა ვიყო ბოსი, — ამბობს თავი, — მე ტვინი მაქვს, ფიქრი შემიძლია.

— არა, ჩვენ ვიქნებით ბოსი, — ამბობენ ხელები, — ჩვენ სხვადასხვა რაღაცების კეთება ვიცით. უჩვენოდ ვერაფერს ვერ შეძლებთ.

— თუ შეიძლება, მე ვიქნები ბოსი? — კითხულობს უკანალი.

ამის თქმა და მისი სასაცილოდ აგდება ერთი იყო — შენგან რა ბოსი უნდა გამოვიდეს, მხოლოდ განავლის და გაზის გამოშვება შეგიძლიაო.

უკანალი განაწყენდა და საკუთარ თავში ჩაიკეტა. და მეორე დღეს ყველა ცუდად გახდა. თავი ტკივილით სკდება, ხელები ადგილს ვერ პოულობენ. და გადაწყვიტეს მათ, რომ უკანალი აერჩიათ თავიანთ ბოსად.

მორალი: სულაც არ არის აუცილებელი თავ-ხელიანობა — ბოსი შეიძლება ნებისმიერი უკანალი გახდეს.

* * *



— **შემთხვევით** ხომ არ გიპოვიათ ამ ტრამვაიში არყის ყუთი?

— არა, მაგრამ ვიპოვეთ იგი, ვინც ის იპოვა.

* * *

**მყიდველი** ქალი, რომელმაც მაღაზიაში ოცი ქუდი მოისინჯა, ოცდამეერთეს მოიწონებს და, — ამაში რამდენი უნდა გადაგიხადოთო, — ეკითხება გამყიდველს.

— არაფრის გადახდა არ არის საჭირო. თქვენ ეს ქუდი გეხურათ, როცა ჩვენთან შემოხვედით.

* * *

**მიდის** ტყეში წითელქუდა. უცებ ხედავს, ხის ძირში რუხი მგელი ზის.

— რამხელა თვალები გაქვს, მგელო! — ყვირის წითელქუდა.

მგელი წამოხტება და მოკურცხლავს.

წითელქუდა გზას აგრძელებს. ხედავს, კუნძს უკან მგელი ჩაცუცქულა.

— რამხელა ყურები გაქვს, მგელო! — შესძახებს წითელქუდა.

მგელი ერთს კი შეუღრენს წითელქუდას და გაიქცევა.

წითელქუდა ისევ მიდის და მიიმღერის. ხედავს ბუჩქებთან მგელი მიყუჟულა.

— ეს რამხელა კბილები გაქვს, რუხო მგელო! — წამოიყვირებს წითელქუდა.

— შე შობელძაღლო, — იღრიალებს მგელი, ბოლოს და ბოლოს, მომცემ თუ არა კუჭის დაცლის საშუალებას?

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24